# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

სამშაბათი, 27 ოქტომბერი, 2009 წელი.

№ 217 (6317)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge | ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika | ფასი 50 თეთრი.


## ოინბაზები



ზეიმების კვირეული

თანამედროვე ვისრამიანი

კიდევ ორი შოუ

კოკო მოდის, ჩამოდექით!

უბედურება

3



3

ირაკლი ალასანია:

## მე წავალ იმის წინააღმდეგ, ვინც რევოლუციის გზით წავა!

გოჩა ცქიტიშვილი:



5

## ქართული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცნობიერება არ არსებობს

## პატრიარქს კი არა, თურმე თუთბერიძეს უნდა დაცვა, თეასა... ვითომდა რელიგიურობით 2 ამაღლებული ხროვისგან



4

დავით ბაქრაძე:

## ამ ლოგიკით მეორე მსოფლიო ომი გერმანიამ კი არა, პოლონეთმა დაიწყო...



9

## ერის მთლიანობის დაბრუნებული განცდა...

## 2 სტაჟიანმა პენსიონერმა ჩაილურის წყალი დალია

## „ქართველი 7 მეფის" კავკასიური ეთიკის კოდექსი

## როცა მინისტრები ცრუობენ, მოსამართლე კი ბრმაა 9



8

## მიშელ ობამას ქმარი ზარმაც ბრიყვად მიაჩნდა

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

◉ პროტესტი

# ძირს ჰელოუინის დღესასწაული!

**საქართველოს საპატრიარქო ჰელოუინის დღესასწაულთან დაკავშირებით განმარტებას აკეთებს.**

**საპატრიარქოს წარმომადგენელთა განცხადებით, ბოლო წლებში საქართველოში სულ უფრო მასშტაბური ხდება ჰელოუინის დღესასწაულის აღნიშვნა, რაც ორიათასწლოვანი ქრისტიანული კულტურის მქონე ერისთვის მიუღებელია.**



— სამწუხაროდ, ბოლო წლებში საქართველოში სულ უფრო მასშტაბური ხდება ჰელოუინის დღესასწაულის აღნიშვნა. უნდა ითქვას, რომ ამ ზეიმში მონაწილე ქართველი ახალგაზრდების უმრავლესობას წარმოდგენაც კი არ აქვს, რისი თანაზიარი ხდება. საკუთარი ტრადიციების დავიწყება და მისი ჩანაცვლება უცხოეთიდან შემოსული მოდური დღესასწაულებით ვერაფერი საკადრისი საქციელია ორიათასწლოვანი ქრისტიანული კულტურის მქონე ერისთვის, — აცხადებენ საპატრიარქოში.

საპატრიარქოს წარმომადგენლების განცხადებით, ჰელოუინში მონაწილეობა სხვა არაფერია, თუ არა წარმართობაში დაბრუნება და კერპთაყვანისმცემლობის აღიარება.

—ეპისკოპოსი ალექსანდრე (მილეანტიძ წერს: „ზეიმი ჰელოუინი ძირს უთხრის წმინდა ეკლესიას... ეკლესიამ მკაცრი პოზიცია უნდა დაიკავოს ამგვარი მოვლენების მიმართ. ქრისტეს მაცხოვარმა გვითხრა, რომ უფალი ღმერთია ყოველი ჩვენი საქციელისა და მრწამსის მსაჯული და ყოველი ჩვენი საქმე მიმართულია ან უფლისაკენ ან მის წინააღმდეგ! არ არსებობს რამე საშუალო და ნეიტრალური გზა!, — ნათქვამია საპატრიარქოს განცხადებაში.

◉ ბრიფინგი

# სტაჟიანმა პენსიებმა ჩაილურის წყალი დალია

**ლეიბორისტულ პარტიაში კიდევ ერთხელ გააკრიტიკეს სააკაშვილის ხელისუფლება და ნაციონალური მოძრაობის წევრები. ლეიბორისტული პარტიის გენერალურმა მდივანმა სოსო შატბერაშვილმა ბრიფინგი გამართა თემაზე: „სტაჟიანმა პენსიებმა ჩაილურის წყალი დალია“. სააკაშვილი თავის დაპირებას არ ასრულებს, მეტიც, როგორც ჩანს, მისი ინიციატივა, პენსიონერებს პენსია სტაჟის მიხედვით დაენიშნოს, არარეალურია. მიხეილ სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის მონაპოვარი ასე გამოიყურება: ეროვნება — არა! მამის სახელი — არა! შრომის წიგნაკი — არა! პენსია სტაჟის მიხედვით — არა!**

სოსო შატბერაშვილის განცხადებით, ფაქტობრივად გაუქმებულია შრომის წიგნაკები, რომლითაც შესაძლებელი იყო პიროვნების სტაჟისა და დამსახურების დადგენა: „მაინტერესებს, როდესაც შრომის წიგნაკები გაუქმდება, როგორ აპირებს ნაციონალური მოძრაობა დაადგინოს ამა თუ იმ პიროვნების ნამუშევრობის სტაჟი. ნაცმოძრაობის წევრებმა შრომის წიგნაკები 2003 წლიდან გაიხსნეს, ესენი არიან უვიცთა და ხელმოცარულთა კატეგორია, სწორედ მათ არა აქვთ არც სტაჟი და არც დამსახურება.

ბოლო მონაცემებით, საარსებო მინიმუმი საქართველოში 114 ლარია, ხოლო საშუალო პენსია — 70 ლარი, დამოუკიდებელი ექსპერტების დასკვნით კი, ერთ სულ მოსახლეზე საარსებო მინიმუმი 300 ლარით განისაზღვრება, რომელშიც მხოლოდ კომუნალური გადასახადები და საკვები პროდუქტები შედის. ევროპაში 1 ადამიანზე თვეში 5 კგ



ხორცია გათვალისწინებული, ჩვენმა ხელისუფლებამ კი ქართველ პენსიონერებს იგი 5 კგ კარტოფილით შეუცვალა“, — განაცხადა სოსო შატბერაშვილმა.

**მერი ქურასბედიანი**

◉ კალამგირი — კალმის ბოროტად მხმარებელი

მოკლედ, მართლაც ყირამალა დროში გვიხდება ცხოვრება. დიახ, დიახ, ყირამალა დროში. ყველაფერი თავდაყირა დგას... აბა, სხვანაირად როგორ უნდა გავიგოთ თუნდაც ამ დღეებში ატეხილი ანტიეკლესიური სკანდალი, რომელიც მაღალპროფესიონალმა კმარელმა, დირექტორთა ვაიდირექტორმა, ზესტაფონელმა თეა თუთბერიძემ ატეხა, ვინც, მაია წყნეთელისგან, თამარ ვაშლოვანელისგან და თინა წავკისელისგან განსხვავებით, სამშობლოს წინააღმდეგ ბრძოლით ცდილობს სახელის გატყორცნასა და გაჯირითებას, და ამდენად ეგრეთ წოდებული თავისუფლების ინსტიტუტისგან ხელდასხმულ კაზიან ჰეროსტრატედ გვევლინება..



ლი „გულახდილი“ ჟურნალისტი, რომლისთვისაც ქართული ეკლესიის წინააღმდეგ ატეხილი ეს შავი სკანდალი თურმე ერთი რიგითი, თავისუფალ ვარდნაში მყოფი ქალის სისულელეს მოჰყოლია...

კი, ბატონო, ამ ერთმა რიგითმა სულელმა ქალმა თუ ეკლესიას მიაყენა შეურაცხყოფა, ახლა ნახეთ, ვის აყენებს შეურაცხყოფას, მართალია, ირიბად, თვითონ ეს „გულახდილი“ ჟურნალისტი... ვის და ყველა ჩვენგანს, ვითომდაც ჩვენი საზოგადოების ერთ მცირე ნაწილს, ვინც ხმა ამოვიღეთ ჩვენი დედაეკლესიისა და პატრიარქის დასაცავად. მთელ საზოგადოებას კი არა, თურმე მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს ამოგვიღია ხმა.

ღმერთი რჯული, აი რას ამ-

## პატრიარქს კი არა, თურმე თუთბერიძეს უნდა დაცვა, თეასა... ვითომდა რელიგიურობით ამაღლებული ხროვისგან

მაგრამ ამ სამარცხვინო სკანდალში, განვითარებული მოვლენების თვალსაზრისით, მთავარ ამოცანად მაინც ის გამოიკვეთა, რომ არა მავან ბოზოლა მკრეხელთაგან და მესკამეთაგან ავად შებულიანებულ თეა ზესტაფონელის მიერ ლაფნასროლ ერის სულიერ მამას, არამედ დაცვა თურმე თვითონ ამ ლაფისროლია თუთბერიძეს სჭირდება. ახლა არ იკითხავთ ვისგან? ვისგან და ჩვენგან, საზოგადოებისგან.

ამ აზრისაა, მაგალითად, ასევე არა კეთილად ცნობილი გიგი თევზაძის უნივერსიტეტის „რესურსცენტრის“ დირექტორი ვინმე დავით ამირეჯიბი, რომელმაც „კავკასიის“ სტუდიიდან მთელ სათბილისოს მოუწოდა, რომ თეიკოს თმის ერთი ღერიც არ უნდა ჩამოუვარდეს. თეიკოს თავით ფეხამდე დასაცავად, ჩვენდა გასაკვირად, თავი გამოიდო აგრეთვე ნახევრად ამირეჯიბმა, არცთუ უცნობმა ტელესახემ ნინია კაკაბაძემ.

მაგრამ დირექტორთა ვაიდირექტორის, მკრეხელ თეა ზესტაფონელის დამცველთა შორის თავისი სამთავრობო გამძარწყლებელი პოზიციით ყველასგან მაინც ჩვენი ქალთა საზოგადოებისთვის კარგად ცნობილი ქეთუსია იგნატოვა გამოირჩა, ამჟამად უკვე საქართველოს კულტურის მინისტრის მოადგილე, მაგრამ კვლავ ოცდაოთხსაათებს ეს ჩემი ძველი ტელენაცნობი, ძვირფასი ქეთუსია... ჩვენი საზოგადოების ერთ, მცირე ნაწილში, პოლიტოპოზიციაში ამგვარი პრობლემის არსებობა ადრეც გამოვლენილაო. ელოდნენ, თითქოს ჩასაფრებულები ელოდნენ, თეამაც „კოზირი“ მისცა და დაიწყო, მარა რა დაიწყოო! ყოფილი კომუნისტები, ჩეკისტები, კომკავშირელები, ავანტიურისტები... და, რა თქმა უნდა, მუდმივ მზადყოფნაში მყოფი ოპოზიციური ლიდერები და მათი სტუდენტობას ამოფარებული პოლიტაქტივისტები მომენტალურად გაერთიანებულან და კუდიანზე ნადირობა დაუწყიათ. პატრიარქს თურმე არავისი და არავისგან და, მით უმეტეს, ჩვენგან დაცვა არ სჭირდება, მაგრამ აი, ქართული საზოგადოების ნაწილი კი, ესე იგი ჩვენ, სისასტიკისაგან, ამორალობისა და უპრინციპობისაგან, შანტაჟისა და ავანტიურიზმისაგან, ყველაფრის კადრების უკიდეგანო უნარისაგან რომ ვართ დასაცავი, ამაში თურმე თეა თუთბერიძეს და მასთან დაპირისპირებულ ვითომდა რელიგიურობით ამაღლებულ ხროვას, ესე იგი ჩვენ, კიდევ ერთხელ დაურწმუნებია ეს ჩვენი ოცდაოთხსაათელი „გულახდილი“ ჟურნალისტი.

აი, ბატონო, ჩვენ რომ აქამდე ჩვენი თავი საზოგადოება გვეგონა, თურმე ვითომდა რელიგიურობით ამაღლებული ხროვა ვყოფილვართ. ხროვა კი, მოგეხსენებათ, კიდევ უფრო უარესის ღირსია. ამ უარესს კი, როგორც ჩანს, მომავალში უნდა ველოდოთ...

*ჩვენი საზოგადოების, ანუ ხროვის სახელით*

**გურამ წიკლაური**

**P. S. „24 საათის“ კიდევ ერთი ავტორისთვის — თამარ ხორბალაძისთვის სამოქალაქო საზოგადოების მიერ თუთბერიძის განრისხებულ ბრბოსთან (აქ ხროვა უკვე ბრბოდ ვიქეცით) და აზვირთებულ პოლიტიკურ სპეკულაციებთან პირისპირ დატოვება თურმე არანაკლებ კი არა, შესაძლოა, მეტადაც ამორალურია, ვიდრე პატრიარქის შესახებ უხამსი და შეურაცხმყოფელი კლიპები.**

**ერთი სიტყვით, ეს ერთმანეთს გაჯიბრებული, ხელისუფლებისგან ნაპატივები და არაცხადად წაქეზებული ოცდაოთხსაათელები იმდენს იზამენ, რომ ამ ნამეტან მაღლა და შორს გამიზნულად ფარისეველ დირექტორთა ვაიდირექტორს, ბოლოსა და ბოლოს, ან სამების რომელსამე კედელზე მარტვილად გამოასახვინებენ, ანდა განკიცხული ანგელოზის ფრთებს გამოასხმევინებენ...**

**აი ასე გამოიყურებიან ის შეფარვით დამცველის მანტიაწამოსხმული ადამიანები, ვინც ტყვის მაგივრად პირდაპირ ეს სინდისზე ხელაღებული კმარელი ფარისეველი „ესროლეს“ ჩვენს პატრიარქს, რომლის სულ-უფრო მზარდი ეროვნული ავტორიტეტი ამ ბოლო დროს სამიზნედ გაიხადა ზოგ-ზოგმა სხვისა კეთილსა ზედა მწუხარე ვაიხელმძღვანელმა, ვის დაკვეთასაც ასრულებენ ჩვენი დროის ნამუსგაყიდული კალამგირი ვაიჟურნალისტები...**

**გ. წ.**

◉ სოციალური მედია

# სტუდია „თვითმხილველი“ – ხალხის შექმნილი ინტერნეტ-ტელევიზია

**ალტერნატიული ჟურნალისტიკა, თავისუფალი ჟურნალისტი — ასე შეიძლება ეწოდოს ინტერნეტ-მედია სივრცეს, სადაც ცენზურა არ არსებობს. წერ და აჩვენებ იმას, რაც გინდა და როგორც გინდა. სოციალურ მედიას, ალბათ, ამიტომ აქვს პროფესიონალური წუნი, რადგან აქ არ გიწევს დიდხანს ფიქრი შესაბამის ფორმაზე, ჟანრზე, სტილზე.**

gogroupmedia net სწორედ ის ქართული ინტერნეტქსელია, სადაც ჟურნალისტები და საზოგადოების წარმომადგენელი მოქალაქე-რეპორტიორები საკუთარ ნამუშევრებს ათავსებენ. სტუდია „თვითმხილველი“ სწორედ gogroup-ის პროექტია, სადაც მსურველთა მოკლემეტრაჟიან დოკუმენტურ ფილმებს თავის ვებგვერდზე ათავსებს, რომელთა ნახვა ნებისმიერ ინტერნეტმომხმარებელს შეუძლია.

23 ნოემბერს სტუდია „თვითმხილველმა“ მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმების ჩვენება მოაწყო ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველოს“ ოფისში, რომელიც ამავე დროს სტუდიის პარტნიორია. სამი ახალი ფილმი წარმოადგინეს: „ენგურის ხიდი“, „თელავური სერიალი: ტატუირება“ და „აჭარელი კოვბოი“. ფილმების ჩვენების შემდეგ დისკუსია გაიმართა, სადაც ინტერნეტჟურნალისტიკის წარმატებებზე იმსჯელეს.

**„გადაიღო ფილმი საკუთარ თავზე, ოჯახზე, მეგობრებზე, მეზობლებზე — ეს უკვე ნიშნავს, გააცნო საზოგადოებას როგორ და რითი ცხოვრობს შენი ქვეყანა. ჩვენი ავტორები, რომლებიც სხვადასხვა რეგიონიდან, ქალაქიდან და სოფლიდან არიან, ასეთი სახის ფილმების საშუალებით გადმოგვცემენ საკუთარ ცხოვრებისეულ ამბებს. ისინი თავად ირჩევენ თემას და დამოუკიდებლად მუშაობენ ფილმის გადაღებაზე. ჩვენ მათ მხოლოდ ვიდეოკამერებით და გადაღებული მასალის პროფესიონალურ დონეზე დამუშავებაში ვეხმარებით“,** — ამბობს **მარგარიტა ახვლედიანი.** „gogroup“-ის დირექტორი და სტუდია „თვითმხილველის“ მთავარი რედაქტორი.

სტუდია თანდათანობით უფრო და უფრო პოპულარული



ხდება და ფილმებით ათასობით მნახველი ინტერესდება. **„ჩვენ უკვე 28-მდე ასეთი ისტორია გვაქვს გადაღებული, რომელსაც ყოველკვირეულად სამი ახალი ფილმი ემატება. სულ მალე მათი რიცხვი გაიზრდება ასამდე, ორასამდე... და გადაიქცევა ხალხის მიერ შექმნილ ინტერნეტ-ტელევიზიად“** — იმედოვნებს სტუდიის რედაქტორი.

„gogroup“ არასამთავრობო მედია ორგანიზაციაა, რომელიც ევროკავშირის მხარდაჭერით „შერიგების რესურსების“ და „უსაფრთხო სამყაროს“ პროექტის ფარგლებში ხორციელდება. პროექტს მხარს უჭერს ფონდი „ღია საზოგადოება — საქართველო“ და ტრავმისა და ჟურნალიზმის საერთაშორისო ორგანიზაცია „დარტ ცენტრი“. „gogroup“-ის მუდმივი პარტნიორია ბრიტანული ორგანიზაცია „Conciliation Resurces“.

**ნია ფიფია**

ვინ — ვის?

# „მე წავალ მის წინააღმდეგ, ვინც რევოლუციის გზით წავა!“



ნომრის სტუმარია „ალიანსი საქართველოსთვის“ ლიდერი ირაკლი ალასანია

**— ბატონო ირაკლი, თქვენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობას აპირებთ. იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიცია მუდმივად არაჯანსაღ საარჩევნო გარემოზე საუბრობს, როგორ ფიქრობთ, შეძლებთ გამარჯვების მოპოვებას?**

— ჩვენ უკვე ნათლად და კონკრეტულად გვაქვს ჩამოყალიბებული სამომავლო გეგმები. უკვე ღიად განვაცხადეთ და ახლაც მინდა გავიმეორო, რომ ჩვენ ადგილობრივი თვითმმართველობისა და თბილისის მერის არჩევნებში მონაწილეობას ვაპირებთ. აქტიურ მონაწილეობას ვილებთ ასევე საარჩევნო გარემოს თვისობრივად შეცვლაში და ამ მიმართულებით ჩვენი კონკრეტული წინდადებები უკვე წარვუდგინეთ ხელისუფლებასაც და სხვა პარტიებსაც.

არჩევნებში მონაწილეობა არის ჩვენი პრინციპული გადაწყვეტილება, ვინაიდან ალიანსი თვლის, რომ ქვეყანაში ხელისუფლების ცვლილების უმოკლესი და ლეგიტიმური გზა არის არჩევნები და სხვა ალტერნატივა არ არსებობს. გარდა ამისა, ვთვლი, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისა და თბილისის მერის არჩევნებში ოპოზიციას გამარჯვების დიდი შანსი აქვს იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო გარემო შეიცვლება. რა თქმა უნდა, არ მაქვს იმის ილუზია, რომ ეს იდეალური საარჩევნო გარემო იქნება, მაგრამ თვისობრივად შეცვლილ გარემოში, თუნდაც ჩვენი მოთხოვნების მინიმალურად დაკმაყოფილების შემთხვევაში, წარმატების დიდი შანსი გვაქვს და ეს შანსი ხელიდან არ უნდა გავუშვათ. ეს რომ ასე იქნება, ამის თქმის საფუძველს ქვეყანაში ჩატარებული ბოლო ორი არჩევნების შედეგები მაძლევს, რომელშიც ოპოზიციამ და ოპოზიციის კანდიდატებმა ბევრად მეტი ხმა მიიღეს, ვიდრე სახელისუფლო კანდიდატებმა.

გარდა ამისა, ჩვენ აუცილებლად უნდა დავნერგოთ ახალი პოლიტიკური კულტურა და ჩვენი ხედვა და პლატფორმა საზოგადოებასთან ბევრად უფრო ჩამოყალიბებულად მივიტანოთ, რაც მოგვცემს იმის საშუალებას, რომ ხალხი, საზოგადოება იმ იდეებისა და ღირებულებების ირგვლივ შევკრიბოთ, რომლითაც მათ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად გამოვიყვანოთ.

**— ბატონო ირაკლი, პრობლემა ხალხის არჩევნებზე მისვლა არ არის, პრობლემა მოპოვებული ხმების დაცვაა...**

— გეთანხმებით და სერიოზული ცვლილებებია განსახორციელებელი არა მხოლოდ საკანონმდებლო ნაწილში საარჩევნო გარემოს შექმნისთვის, არამედ შესაცვლელია საარჩევნო კოდექსი, საარჩევნო კომისიის შემადგენლობა... დიდი ძალისხმევა გვჭირდება იმისათვის, რომ ერთ-ერთმა ნაციონალურმა არხმა მაინც, იგივე საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, ოპოზიციას საარჩევნო კამპანიის წარმოებისთვის საშუალება და საინფორმაციო სივრცე მისცეს და სწორედ ამიტომ ვუჭერ მხარს იმ ინიციატივას, რომელიც არხის სამეთვალყურეო საბჭოს არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებას გულისხმობს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ სამეთვალყურეო საბჭოს 15-ივე წევრი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებით იყოს დაკომპლექტებული, რომელთაც საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე პროცესების ობიექტურად რეგულირების შესაძლებლობა ექნებათ. ასევე, ყველა გზას და შესაძლებლობას ვიყენებთ იმისთვის, რომ პოლიციური სტრუქტურები პირდაპირ არ იყვნენ ჩართულები საარჩევნო პროცესში და ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ საერთაშორისო თანამეგობრობის წამომადგენლებთან. ეს არის ის სამი თემა, რომელზეც, ჩვენ ვთვლით, რომ ახლა ბრძოლის ხაზი გადის.

მე მოვუწოდე სხვა პოლიტიკურ ძალებსაც, იგივე იმ შეხვედრაზე, რომელიც რამდენიმე დღის წინათ „რედისონ სას ივერიაში“ შედგა, რომ ამ იდეის ირგვლივ გავერთიანდეთ. არ არის აუცილებელი ერთი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანება და საერთო ძალისხმევით ჩვენ შევძლებთ ამ ცვლილებების მიღწევას. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ უპრეცედენტოდ მაღალია მხარდაჭერა ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების ამ იდეის მიმართ და მათი ზეწოლა საარჩევნო გარემოს თვისობრივად შეცვლაზე კიდევ უფრო ძლიერი გახდება. სწორედ ამას ვგულისხმობ, როდესაც ვამბობ, რომ შანსი გვაქვს — ღირს ბრძოლა და დარწმუნებული ვარ, წარმატებას მივაღწევთ.

**—მაგრამ თუ არ მოხდება მედიასივრცის, საარჩევნო და პოლიტიკური გარემოს გათავისუფლება და სააკაშვილი ადმინისტრაციულ რესურსს აქტიურად გამოიყენებს, მათ შორის ძალოვან სტრუქტურებს, ოპოზიციას გამარჯვების მინიმალური შანსი რჩება, რეალური სურათი ეს არის...**

— მე გითხარით, რომ სააკაშვილის პირობებში იდეალურ არჩევნებს ვერ მივიღებთ, მაგრამ მინიმალურად მაინც უნდა იყოს დაკმაყოფილებული ჩვენი პირობები და ამ შემთხვევაში გვაქვს გამარჯვების შანსი. რა არის ეს მინიმალური ზღვარი, ჩვენ უკვე წარმოდგენილი გვაქვს. უკვე მზად გვაქვს ჩვენი წინადადებები, რომელსაც საარჩევნო კანონმდებლობაზე მომუშავე ჯგუფში მომავალ კვირას წარვადგენთ. სხვათა შორის, ჩვენმა ზეწოლამ შედეგი გამოიღო, როდესაც დემონსტრაციულად არ მივედით უშიშროების საბჭოს სხდომაზე და ვთქვით, რომ ხელისუფლებამ პირობა უნდა შეასრულოს და საკუთარი წინადადებები შემოგვთავაზოს. მათ ამ კვირაში მოიტანეს საკუთარი წინადადებები, ახლა მიდის კონსულტაციები და ეს პროცესი გაგრძელდება. ასე რომ, პროცესის ბოლოს რა შედეგიც გვექნება, ეს ცნობილი გახდება საზოგადოებისათვის და მერე ჩამოყალიბდეს, ესა თუ ის პარტია თუ პოლიტიკური ძალა, ღირს თუ არა არჩევნებში მონაწილეობა.

**— მაგრამ თქვენ ამ შედეგს არ დაელოდეთ და განაცხადეთ, რომ „ალიანსი საქართველოსათვის“ არჩევნებში მონაწილეობისათვის ემზადება, რასაც ხელისუფლების მხრიდან დაუყოვნებელი რეაქცია მოჰყვა და არასაპარლამენტო ოპოზიციის ორ ნაწილად გაყოფის შესახებ საკმაოდ კარგად გათვლილი პროპაგანდა დაიწყო.**

— მე ვთქვი, რომ პირველ რიგში უნდა შეიცვალოს საარჩევნო გარემო და მხოლოდ ამ შემთხვევაში გვაქვს ჩვენ, ოპოზიციას გამარჯვების შანსი...

**— თუ არ შეიცვლება, შესაძლოა, უარი თქვათ არჩევნებში მონაწილეობაზე?**

— ჯერ შედეგს დაველოდოთ, რატომ ვიჩქაროთ?! ჯერ სრულიად ჯანსაღი პროცესის ეტაპია, კონსულტაციები მიდის როგორც ხელისუფლებასთან, ისე სხვა ოპოზიციურ ძალებთან.

**— მაშინ თქვენ რატომ იჩქარეთ და არჩევნებში მონაწილეობზე თანხმობა განაცხადეთ, რატომ არ დაელოდეთ შედეგს?! ალბათ აცნობიერებთ, რომ ამით თქვენი პირადი პოლიტიკური რეიტინგი სასწორზე დადეთ...**

— იმიტომ, რომ ეს იყო ხელისუფლების გამოწვევა, რომელიც ჩვენ მივიღეთ და წავართვით ხელისუფლებას ერთადერთი ბერკეტი, რომელიც ჰქონდა ჩვენს წინააღმდეგ და იძახდა, რომ ეს ოპოზიცია არანაირ წინადადებას არ გვთავაზობს, არ იღებს მონაწილეობას არჩევნებში და მათთან ლაპარაკს აზრი არ აქვს. ეს იყო ის თემა, რასაც სააკაშვილი იყენებდა ჩვენს საერთაშორისო პარტნიორებთან და ქვეყნის შიგნითაც. მე გულწრფელად მწამს, რომ ერთადერთი გზა ქვეყანაში ცვლილებების მისაღწევად არჩევნებია და ცალსახად ვაცხადებ, რომ არა მხოლოდ არ დავეთანხმები მოვლენების რევოლუციურ განვითარებას, არამედ წინ აღვუდგები! რადგან ვთვლი, რომ ეს ქვეყანას მხოლოდ დააზარალებს.

**— როგორ აღუდგებით წინ, თუ იგივე ლევან გაჩეჩილაძე, ნინო ბურჯანაძე და ოპოზიციის სხვა ლიდერები ცვლილების ამ გზას აირჩევენ, თქვენ მათ გაემიჯნებით?**

— ბუნებრივია, ვინც რევოლუციის გზით წავა, მე მის წინააღმდეგ წავალ, შემიძლია ეს პირდაპირ გითხრათ. აქვე დავაკონკრეტებ, მე ვსაუბრობ ძალადობრივ ქმედებებზე და არა ხავერდოვან რევოლუციაზე.

**— შედარებისათვის მინდა გკითხოთ, 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“ ხავერდოვანი იყო?**

— 2003 წლის რევოლუცია უსისხლო რევოლუცია იყო და არა ხავერდოვანი და ახლა რომ ვფიქრობ, მიმაჩნია, რომ ისიც არ იყო სწორი, ვინაიდან ქვეყანაში ხელისუფლება ერთხელ და სამუდამოდ თავისუფალი არჩევნების გზით უნდა შეიცვალოს. ეს აქცევს ჩვენს ქვეყანას შემდგარ სახელმწიფოდ და ევროპა და საერთოდ, ცივილიზებული მსოფლიო გააგრძელებს ჩვენს მხარდაჭერას, რომ გაგრძელდეს საქართველოს ინტეგრაცია ევროპაში.

**— ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს გამორიცხავთ? შესაძლოა, მიხეილ სააკაშვილს დასჭირდეს საპარლამენტო არჩევნები იმის მიხედვით, რამდენად მაღალი იქნება პოლიტიკური ტემპერატურა.**

—არ მგონია, ადგილობრივ არჩევნებამდე ხელისუფლებამ რაიმე არჩევნები დანიშნოს.

**—თქვენ ალბათ გიფიქრიათ იმაზე, რომ ოპოზიციიდან მერობის ერთადერთი კანდიდატი არ იქნებით?**

— ალბათ.

იხ. 5 გვ.

კვირის სარკეში

# ოინბაზები

***გასული კვირის ზეიმებს წინ უსწრებდა ისეთი მოვლენები, რაც, საერთოდ, უაღრესად იშვიათად ხდება მსოფლიო ისტორიაში და, რამაც, თუ ჩვენ ისევ თავმოყვარე ქართველი ხალხი გვქვია, უნდა დაგვაფიქროს და სწორი დასკვნები გაგვაკეთებინოს.***

## ზეიმების კვირეული

**ვიზეიმეთ ძველებურად, რევოლუციური აღტყინებით — ხელისუფლების შეკვეთით! ზეიმების ამ წყებას ერქვა ვეძისობა, ოფეთობა, აკუეთობა და კიდევ ათასი სახელი. დაბოლოს, გვირგვინი ყოველთა ქართველთა ბედნიერებისა, სიმბოლო ხალხისა და მისი ხელისუფლების ერთიანობისა, გაუტეხლობისა და სხივმოსილი ხვალინდელობისა — თბილისობა!**

პრეზიდენტმა სააკაშვილმა და მისმა ნაციონალურმა გუნდმა (იქნებ, თანავარსკვლავედი სჯობდეს?!) კიდევ ერთხელ დაუმტკიცეს საკუთარ თავს, რომ მზად არიან თავი ხალხის კეთილდღეობის სამსხვერპლოზე მიიტანონ, ოღონდ, თუ არაფერი მოუვათ!

ამის საილუსტრაციოდ პრეზიდენტმა გორში, ჩვენი ევროპელი მეგობრებისა და ხელისუფლების უგუნურების გამო ბოგანოდ ქცეული თანამემამულეების თანდასწრებით, ლტოლვილთა ახალი ბანაკი გახსნა. რა თქმა უნდა, ისეთი, რომლის მსგავსი ევროპაშიც კი არ მოიძებნება. ისე, სამართლიანობისთვის, გასული საუკუნის ორმოციან წლებში გერმანელი ნაცების ინიციატივით შექმნილი ასეთი ტიპის ბანაკები ევროპაში ნამდვილად არსებობდა.

ისიც ნამდვილია, რომ გერმანული საკონცენტრაციო ბანაკები საყოფაცხოვრებო პირობებით ახლოსაც ვერ მოვიდოდნენ ქართულთან.

ლტოლვილებს საკუთარ ბედ-იღბალზე საჯაროდ არავინ ალაპარაკებს, მაგრამ მათი მოთხოვნა ცნობილია — დაგვიბრუნეთ ჩვენი სახლ-კარი და ბაღ-ვენახი, მშვიდი ცხოვრება, სტუმარ-მასპინძლობის შესაძლებლობა, მამა-პაპათა საფლავები, დაგვიბრუნეთ ჩვენი სამშობლო...



ზეიმების კვირეულში გაუგონარი სიმამაცე გამოიჩინა შინაგან საქმეთა მინისტრმა მერაბიშვილმა — თავისი ფეხით ავიდა „მშობლიურ“ სვანეთში! დიახ, სწორედ იმ კუთხეში, რომელიც მან და მისმა „ბიჭებმა“ სულ ახლახან კინაღამ აღგავეს მიწის პირისაგან, თანაც, არავინ იცის, რატომ. როგორც ტელევიზიით შევიტყვეთ, სვანები, განსაკუთრებით, მესტიელები, თურმე, სიხარულს ვერ მალავდნენ ბატონი ვანოს სტუმრობისა და მამობრივი მზრუნველობის გამო.

თბილისობის დღესასწაულს ოცდაათი წელიწადი შეუსრულდა. წლევანდელ ზეიმზე ერთი სიტყვითაც არ უხსენებიათ ამ დღესასწაულის მთავარი შემოქმედი — ედუარდ შევარდნაძე. მათ შორის, ხელისუფლების წარმომადგენლებსაც, რომლებიც სწორედ მას უნდა უმადლოდნენ ძალაუფლებით და ქვეყნის სიკეთით ნეტარებას.

უკვე შევეჩვიეთ, რომ „თბილისობა“ პოლიტიკურ რეკლამად გადაიქცა. თუ ადრე მას სხვა ფუნქციებიც ჰქონდა (გასართობი, კულტურულ-საგანმანათლებლო, ადამიანთა დაახლოების, ჯანსაღი შეჯიბრის...) ახლა ერთადერთიღა შემორჩა —„პრეზიდენტი მაგარიას“ დამმტკიცებლისა. და კიდევ, თბილისობა ძველებურად არის ქეიფის საბაბი საეჭვოდ გამდიდრებული თავქეიფა „ახალი ქართველებისთვის“.

კიდევ ერთი და, ზეიმებზე საუბარს ამით დავასრულებ — უპრეცედენტო სიძვირე! ეტყობა, ხელისუფლებამ საბოლოოდ დაივიწყა, რომ საქართველოში არსებობს უქონელთა არმია, რომელიც მოსახლეობის 80 პროცენტს მაინც შეადგენს; რომ, სინამდვილეში, ცხოვრება არ არის ისეთი მშვენიერი, როგორსაც სახელისუფლო ტელევიზიების სტუდიებიდან გვიჩვენებენ.

## თანამედროვე ვისრამიანი

**ვისის და რამინის, ლეილის და მეჯნუნის, ტრისტანის და იზოლდას, ვასოს და ნინას (მჟავანაძეების) სევდიანი სიყვარულის ამბები, აბა, ვინ არ იცის!**

დღევანდელ საქართველოში მათ გიას (ბარამიძე) და ნატოს (სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი), გნებავთ, მიშას და ნატოს ან, სულაც, ბაჩოს და ტანკის ოპტიმისტური მიჯნურობის ისტორიები ემატება.

არ ვიცით რატომ, მაგრამ მაინც ნატო ყველა ჩვენი სატკივრის ჯადოსნურ სალბუნად გვესახება. უფრო სწორად, ასეთად გვისახავს მას ჩვენი ხელისუფლება. იმედია, ბატონი გია ბარამიძე მთელი ხელისუფლების აზრს გამოხატავს. ჰოდა, სწორედ ბარამიძე ამდენი წელიწადია გვკვებავს იმედით, რომ ამ მომხიბლავი, კეკლუცი და ძლიერ საშიში ნატოს კალთის ქვეშ თავის შეყოფა ყველა ჩვენს პრობლემას მოაგვარებს. თანაც, თურმე, თვითონ ნატოს ერთი სული აქვს, სანამ თავის ძლევამოსილ კალთას გადაგვაფარებდეს — ალბათ, კეზერაშვილის, ახალაიას და სხვა სახელგანთქმული ქართველი გენერლების სამხედრო-სტრატეგიული ნიჭის სათავისოდ გამოყენებაზე თუ ოცნებობს. როგორც ბარამიძემ გვამცნო, ამ დიადი მიზნის მისაღწევად ნატო მზადაა, წინასწარი მოსამზადებელი პროგრამის (მაპი) გაუვლელად, რომელიღაც უკანა საიდუმლო ხვრელიდანაც კი შეგვიძვრინოსო.

იხ. 4 გვ.

**შეხვედრები ოკეანის გაღმა**

*სანამ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ვაშინგტონში ამერიკელ პოლიტიკოსებს შეხვდებოდა, მან საქართველოში მიმდინარე პროცესებზე ნიუ-იორკში კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტშიც ისაუბრა. „ეს საქართველოსთვის მნიშვნელოვანი პერიოდია — განაცხადა დავით ბაქრაძემ — სამწუხაროდ, ვერ ვიხსენებ ისეთ დროის მონაკვეთს, რომელიც ბოლო 20 წლის განმავლობაში საქართველოსთვის მნიშვნელოვანი არ იყოს და ჩვენ გამუდმებით საგარეო და საშინაო გამოწვევებისა და ცვლილებების მოწმენი არ ვყოფილიყავით“. პარლამენტის სპიკერმა ისაუბრა ამა წლის გაზაფხულზე დაწყებულ საპროტესტო აქციებსა და ოპოზიციის პრეტენზიებზე სააკაშვილის მიერ რუსეთთან წაგებულ ომსა და „ვარდების რევოლუციის“ დემოკრატიული პრინციპების უგულებელყოფის თაობაზე.*

# დავით ბაქრაძე: ამ ლოგიკით მეორე მსოფლიო ომი გერმანიამ კი არა, პოლონეთმა დაიწყო...



„თქვენ რომ ხუთიდან ოთხ ქართველს ჰკითხოთ, თუ რამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლა, გიპასუხებთ — ქუჩის დემონსტრაციებმაო“. საქართველოს პირველი პრეზიდენტი ქუჩის აქციებით იქნა ჩამოგდებული, ხოლო „ვარდების რევოლუცია“ სწორედ ქუჩის აქციებმა მოიტანა. 1989 წელს რუსული ტანკები თბილისში ქუჩის აქციების გამო შემოიჭრნენ. „ქუჩის აქციები საქართველოში ცვლილებების გამტარებელია“ და „დემონსტრაციები პროტესტის გამოხატვის დემოკრატიული გზაა“, თუმცა ეს პრობლემად მაშინ გადაიქცევა, როცა დემონსტრაცია ქვეყნის მთავარი პოლიტიკური იარაღი ხდება. ყოველთვის იარსებებენ პოლიტიკური პარტიები, რომლებსაც ქუჩაში ასობითა და ათასობით ადამიანის მობილიზება შეეძლებათ და ეს ისტორია დაუსრულებლად გაგრძელდება. როცა პოლიტიკოსები ხალხს ქუჩის საშუალებით მართავენ და ძირითადი დიალოგი მიმდინარეობს არა პოლიტიკური ინსტიტუტების შიგნით, არამედ ოფისსა და ქუჩას შორის, რასაკვირველია, ამას მივყავართ საზოგადოების პოლიტიკურ პოლარიზაციამდე. ბევრ ქართველ პოლიტიკოსს აქვს რადიკალური დამოკიდებულება, რადგან ისინი მუდმივად ქუჩის ბრბოსთან პირდაპირ რჩებიან და იძულებული არიან მათ ის დაუდასტურონ, რასაც ისინი ლიდერისგან მკაცრად მოითხოვენ. ხალხს ქუჩაში ზომიერი რიტორიკის არ ესმის“ — განაცხადა მან. ბაქრაძის აზრით, სააკაშვილის გადაყენების საქმეში ოპოზიციის მარცხი ერთგვარი პოლიტიკურად მართებულად გადადგმული ნაბიჯია, რომ „ყველასთვის ცხადი გახდა ქუჩის აქციების უნაყოფობა, თუ ისინი სხვა პოლიტიკური საშუალებებით არაა გამაგრებული. მაგრამ არაა საკმარისი აჩვენო, რომ ქუჩის აქციები უნაყოფოა. მთავრობამ უნდა უზრუნველყოს ალტერნატივა. ეს ალტერნატივა კი არის რეფორმების პაკეტი, რომელიც ჩვენ ოპოზიციას წარვუდგინეთ და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ქართველ ხალხსაც.“ — დასძინა ბაქრაძემ.

საქართველოს პარლამენტის სპიკერმა ასევე ისაუბრა: ახალ საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის შექმნის შესახებ, რადგან პატარა პარტიები უკმაყოფილონი იმით არიან, რომ მათ პარლამენტში თავის წარმომადგენლობა არა აქვთ და ამიტომ საარჩევნო კანონი შესაცვლელია; ქალაქის მერის პირდაპირ არჩევნებზე; ახალი გადასახადების დაუწესებლობაზე; ეკონომიკურ რეფორმებზე, იმაზე, რომ მთავრობა ოპტომისტურადაა განწყობილი.

შეეხო შარშანდელ ომს რუსეთთან, საქართველოსა და სომხეთ-თურქეთის ურთიერთობებს და ა. შ.

* * *

დავით ბაქრაძე ნიუ-იორკში ყოფნისას რუსულ რადიო „დავიდზონსაც“ ესტუმრა, საქართველოს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა და პირდაპირ ეთერში საქართველოს საჭირბოროტო საკითხებსა და, ბუნებრივია, აგვისტოს ომზე, მედვედევ-სარკოზის შეთანხმების შეუსრულებლობასა და ტალიავინის კომისიის დასკვნაზეც ისაუბრა.

„რამდენიმე ხნის წინათ მოსკოვში საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა კუშნერმა განაცხადა, რომ რუსეთი არ ასრულებს მის მიერვე ხელმოწერილ შეთანხმებას — თქვა პარლამენტის სპიკერმა. — რუსეთი მსოფლიო პოლიტიკური მოძრაობის წინააღმდეგ ცურავს. უკანასკნელი მთელი წლის განმავლობაში რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების დასაცავად თავისი უზარმაზარი პოლიტიკური და დიპლომატიური რესურსი დახარჯა. ეს საშიშია თავად რუსეთისთვის, რადგან რუსეთი იძულებულია თავისი კაპიტალი საქართველოსთან კონფრონტაციას შეალიოს, როცა მას მოსაგვარებელი სხვა უამრავი პრობლემაც აქვს. ადრე თუ გვიან რუსეთი თავად გააცნობიერებს, თუ რას მიაღწია მან შარშან აგვისტოში. მან კი არაფერს მიაღწია იმის გარდა, რომ ბოლო წლის განმავლობაში თავისი დასავლელი პარტნიორების საყვედურებს გამუდმებით ისმენს. დღევანდელი ოკუპაციის პირობებში, როცა ორივე რეგიონი გადაქცეულია ერთ დიდ სამხედრო ბაზად, იქ მცხოვრებ ადამიანებს არჩევანის უფლება წაერთვათ, ისევე როგორც საბჭოთა კავშირის დროს, როცა ხალხს არჩევანის თავისუფლება არ ჰქონდა. ჩვენ არ ვირჩევდით, ჩვენს მაგივრად ვიღაც ირჩევდა. ორივე რეგიონში სწორედ ასეთი მდგომარეობაა. არადა საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე ოთხჯერ უფრო მეტი ოსი ცხოვრობს, ვიდრე თავად სამხრეთ ოსეთში. ეს ადამიანები ცხოვრობენ ქართულ სოფლებში, ქალაქებში. საქართველოს ტერიტორიაზე ოსური სოფლებია და იქ ეთნიკურ ნიადაგზე გაჩაღებული კონფლიქტი არასოდეს ყოფილა. ჩვენ იქ ბაზებსა და სანგრებს არ ვაშენებდით. იქ ვაშენებდით დისკოთეკებს, აუზებსა და კინოთეატრებს. რუსები კი დაგვცინოდნენ, თქვენ მანდ ბავშვობთო.

იხ. 6 გვ.

**კვირის სარკეში**

# ოინბაზები

(მესამე გვერდიდან)

ესეც არის მორიგი ბლეფი, ჩვენი ხელისუფლების ღრმა რწმენით, ყველაფრის უდრტვინველად მჭამელი საქართველოს მოქალაქეების კიდევ ერთხელ მოსაღორებლად: საკუთარი თავის იმედად კი არ უნდა ვიყოთო, დეიდა ნატო მოვა და პირში „პატრიოტის“ მარკის საწოვარას ჩაგვიდებსო. ოღონდ, საწოვარას, თურმე, მხოლოდ მაშინ მივიღებთ, თუ ჩვენ, საქართველოს მოქალაქეები, ჩვენივე რევოლუციური ხელისუფლების სიყვარულს და ერთგულებას დავამტკიცებთ.

### კიდევ ორი შოუ



**გასულ კვირაში, თბილისობამდე, ხელისუფლებამ კიდევ ორი გრანდიოზული სასეირო სანახაობა „გააიმასქნა“ — სოციოლოგიური გამოკითხვა და კინოშოუ რუსთაველზე, პარლამენტის წინ.**

რომელიღაც ერთობ ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციის გამოკითხვის თანახმად, მმართველი ნაციონალური რეჟიმის რეიტინგი 43 პროცენტი ყოფილა. არ დაუკონკრეტებიათ, სად ჩატარდა ეს გამოკითხვა. ჩემი ვარაუდით, იგი უნდა ჩატარებულიყო პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლებს შორის — ასიდან 43-ს, უბრალოდ, სამსახურის დაკარგვისა შეეშინდებოდა. ასეა თუ ისე, როგორც მსოფლიო პოლიტიკის ამომავალმა ვარსკვლავებმა პეტრე ცისკარიშვილმა, აკაკი მინაშვილმა და პალიკო კუბლაშვილმა (კიდევ ერთი ვარსკვლავი, კობა სუბელიანი, ამ ბოლო დროს ძალიან დაკავებულიაძ გვამცნეს, ეს დიდი პატივი და კიდევ უფრო დიდი პასუხისმგებლობა ყოფილა ნაცებისთვის — ხალხთან ერთად და ხალხის საკეთილდღეოდ მთებს გადავაბრუნებთო!

რაც შეეხება შოუს რუსთაველზე, იგი საქართველოს ხელისუფლების და ჰოლივუდის ერთობლივი პროექტის ფარგლებში ჩატარდა. საკუთარი ინიციატივით, თუ ჩვენი მართლაც მაგარი სახელისუფლო პიარმენეჯერების მონდომებით, ჰოლივუდი იღებს ფილმს რუსეთ-საქართველოს შარშანდელ ომზე. მთავარი გმირი, რა თქმა უნდა, სააკაშვილია. მის როლს სახელგანთქმული ენდი გარსია შეასრულებს. რუსთაველზე მასობრივი სცენები გადაიღეს — სტვენით, დროშების ფრიალით და „მიშა, მიშას“ დაგუგუნებით.

### კოკო მოდის, ჩამოდექით!

**ოინბაზობაში ხელისუფლებას არც ე. წ. საპარლამენტო ოპოზიცია ჩამორჩა — ჯონდი ბაღათურია ზვიად გამსახურდიას დაღუპვის გარემოებათა შემსწავლელი საპარლამენტო კომისიის შექმნის ინიციატორად გამოვიდა და, წარმოიდგინეთ, ნაცების მხარდაჭერაც მოიპოვა!** თავის მხრივ, ამ ფაქტმა ოპოზიციონერად ცნობილ კონსტანტინე მეორეს (კონსტანტინე-კოკო ზვიადის ძე გამსახურდიაძ მისთვის აქამდე საძულველ პარლამენტში შესვლა გადააწყვეტინა. იმ პარლამენტში, სადაც შეუსვლელობით მოიპოვა პოლიტიკური დივიდენდები დამწყებმა პოლიტიკოსმა გამსახურდია-უმცროსმა. ამით, ოპოზიცია-ხელისუფლების ოინბაზთა გაერთიანებულმა გუნდმა კიდევ ერთი ტაქტიკური გამარჯვება მოიპოვა საკუთარ ამომრჩეველზე — დემოკრატის მანტიაც მოირგო, საზოგადოდ, ოპოზიციისადმი ნდობაც შეასუსტა და გულწრფელ ოპოზიციაშიც უნდობლობის თესლი ჩააგდო.



ამ „გამარჯვებით“ ეგრეთ წოდებულმა „საპარლამენტო ოპოზიციამ“ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი. ამიერიდან იგი იქცა იმ ძალად, რომელსაც პოლიტიკის გამრიგემ ორ სკამს შორის საუკუნო ჯდომა არგუნა.

ჩემი დარიგებისგან კოკოსაც და ძია იულონ გაგოშიძესაც (იგი ძველი და დამსახურებული ზვიადისტი ბრძანდება!ძ ჯვარი სწერიათ, მაგრამ როგორც იმჟამინდელი მოვლენების მეტნაკლებად მცოდნემ, შემიძლია ერთი რამ დაბეჯითებით ვიწინასწარმეტყველო — მაშინდელი მოვლენების ობიექტურად შესწავლა კარგს არაფერს მოუტანს არც განსვენებული პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას და მისი ოჯახის ავტორიტეტს, არც ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც თავს დღემდე მართლმორწმუნე ზვიადისტად მიიჩნევს.

### უბედურება

**გასული კვირა უთუოდ შეიყვანს მსოფლიო ისტორიაში საქართველოს, როგორც უნიკალური, თანამედროვე განათლებული სამყაროსთვის უცნობი სახელისუფლო ხვანჯების ქვეყანას.** დიახ, საუბარი ეხება არა მარტო ქართული, არამედ მსოფლიო მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ აღმაშფოთებელ მოქმედებებს.

ის, რაც ვინმე თეა თუთბერიძემ მოიმოქმედა, არის უკიდურესად შეურაცხმყოფელი ნებისმიერი აღმსარებლობის ადამიანების, მეტიც, თვით ათეისტურად განწყობილი საზოგადოებისთვისაც კი. სრული სიცრუეა საქმის ისე წარმოჩენა, თითქოს ვიღაც კერძო პირმა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქზე რაღაც პასკვილი შეთხზა. ჯერ ერთი, ეს „კერძო პირი“ უკვე მრავალი წელია, არის ეგრეთ წოდებული „სახელისუფლო სახე“, ზუსტად ისეთივე, როგორიც გიგა ბოკერია, დათო კირკიტაძე, ეკა ხერხეულიძე, დათო ბაქრაძე, დათო დარჩიაშვილი, გოკა გაბაშვილი, პალიკო კუბლაშვილი, მურთაზ ზოდელავა და კიდევ რამდენიმე სხვა, ოღონდ, ბევრად უფრო აქტიური. რაც მთავარია, უკვე რამდენიმე წელია, ხელისუფლება მისი უწმინდესობის და მთლიანად ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ ატარებს კარგად ორგანიზებულ სახელის გამტეხ კამპანიას — ჭორების გავრცელებიდან დაწყებული, ბინძურ პოლიტიკურ ინტრიგებში ჩათრევის მცდელობებით დამთავრებული.

თავისთავად ის ფაქტი კი არ არის განსაკუთრებული უბედურება, რომ ვიღაც უვიცმა გომბიომ მხცოვანი და ღაწლმოსილი ადამიანი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი (და მასთან ერთად მთელი მართლმადიდებელი მრევლი!ძ მძიმედ შეურაცხყო. ჩვენი ეროვნული უბედურებაა ის, რომ ეს უვიცი გომბიო, ხელისუფლების ხელშეწყობით, არის მნიშვნელოვანი საჯარო მოხელე და უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი!

აქედან გამომდინარე, ხელისუფლების ოფიციალური განცხადება, ხსენებული სუბიექტის ბინძურ ინსინუაციებში ჩემი ხელი არ ურევიაო, არის სრული სიცრუე და ფარისევლობა.

კიდევ ერთხელ შეგახსენებთ იმას, რასაც გვასწავლის მსოფლიო გამოცდილება და რაც მეც ბევრჯერ გამიმეორებია: ტოტალიტარული რეჟიმი ვერ ჰგუობს ერთზე მეტ ავტორიტეტს ერთ სამთავროში. მისი უწმინდესობა ილია მეორე თავისი გრანდიოზული ავტორიტეტით საქართველოს მართლმადიდებელ და არამართლმადიდებელ მოსახლეობაში, არა მარტო საეკლესიო წრეებში, თავისი არსებობით უნებლიედ მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის სააკაშვილს, რომლის ავტორიტეტი პრეზიდენტის ადმინისტრაციის და ზოგიერთი რესტორნის იქით არ ვრცელდება.



**უვიცი და უნამუსო კმარელის ხელით სწორედ პრეზიდენტი მოქმედებს და მისი პირით სწორედ პრეზიდენტი ლაპარაკობს.**

**ამიტომ ვამბობ, რომ თუ ეროვნული თავმოყვარეობა საბოლოოდ არ დაგვიკარგავს, მომხდარმა ღრმად უნდა ჩაგვაფიქროს და სწორი დასკვნები გამოგვატანინოს.**

**თეიმურაზ ქორიძე**

ვარაუდი



**საააგენტო „პირველის" ინტერვიუ საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის (IPM) დირექტორთან გოჩა ცქიტიშვილთან.**

# „ქართული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცნობიერება არ არსებობს"

**— ბატონო გოჩა, როგორ შეაფასებდით ქართული საზოგადოების აზროვნებას საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან დღემდე? როგორ ფიქრობთ, შეიცვალა თუ არა იგი ამ წლების განმავლობაში, თუ საბჭოური აზროვნება ჯერ კიდევ სჭარბობს საქართველოში?**

— საზოგადოებას უფრო ორიენტაცია შეიძლება ჰქონდეს, ვიდრე აზროვნება, ამიტომ მე საზოგადოების ორიენტაციებზე ვისაუბრებ. ბუნებრივია, როცა 70 წელი იცხოვრებ გარკვეულ რეჟიმში, შეუძლებელია, მან გარკვეული ღირებულებები, კერძოდ, სიმბოლოები, მენტალობა, სტერეოტიპები არ წარმოშვას. უნდა აღინიშნოს, რომ მეფის რუსეთისა და საბჭოეთის დროინდელი საქართველოს ყოფა ერთმანეთისგან დიდად არ განსხვავდებოდა. უფლებრივი თვალსაზრისით ქართული საზოგადოებისთვის არც საბჭოეთის დროიდან შეცვლილა რამე, მათ შორის – იმ კონტექსტშიც, რომ ქვეყანა არც მეფის რუსეთის და არც საბჭოთა კავშირის დროს იყო რეგიონალური ცენტრი (ლიდერი). ამის მიზეზი ისაა, რომ ყველა ამ შემთხვევაში სახელმწიფოს კონცეფცია ერთი ცენტრის არსებობას გულისხმობდა, რომლის შიგნით ლიდერები არ უნდა ყოფილიყვნენ. საზოგადოებას ფუნქცია ჰქონდა დაკარგული, რადგან ფუნქცია შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ სახის ლიდერს, ხოლო თუ არც ერთი თვალსაზრისით ლიდერი არ ხარ, ფუნქციას კარგავ. სხვა დანარჩენი არა ფუნქცია, არამედ როლია, რომელსაც ბუნებრივი წესები, გარემოება გაკისრებს. შესაბამისად, ეს ქვეყანა, ისევე, როგორც მისი საზოგადოება, უფუნქციო იყო და არც რამეზე იყო ვალდებული, მათ შორის, მაგალითად, თავდაცვაზე. ქვეყანას არ ჰქონდა რაიმე ინსტრუმენტი, მაგალითად, თავდაცვისათვის, სამაგიეროდ ჰქონდა როლი, მონაწილეობა მიეღო სამხედრო შეტაკებებში, თუ ამას მოსკოვი ისურვებდა. ასე იყო როგორც მეფის რუსეთის, ისე საბჭოეთის დროს. ამ ვითარებამ, ბუნებრივია, ქართულ საზოგადოებას დაღი დაადო.

სამწუხაროდ, სადღეისოდ ქართული სახელმწიფოს და საზოგადოების მიერ ფუნქციის შექმნა პრიმიტიულ მექანიზმებამდეა დაყვანილი. მაგალითად, ფუნქციის შექმნას იმაში ვხედავთ, რომ ქვეყნის ტერიტორიაზე გაიაროს რაღაც მილმა. ამავდროულად, გვიჭირს კონცენტრირება კონკრეტულ, რეალურად განხორციელებად მიზნებზე და გულის სიღრმეში ვოცნებობთ არა მხოლოდ ოქროს აკვანზე, რომელიც ბაზალეთის ტბის ძირას არის, არამედ იმაზეც, რომ ადრე თუ გვიან, ქვეყანა ძლიერი გახდეს და მოსახლეობის რაოდენობა გაიზარდოს. აი, აქამდე გაიზარდა ჩვენი ამბიცია, იმიტომ, რომ სხვა, უფრო კონკრეტული ამბიციების რეალობას ვერ ვხედავთ. მახსოვს, როდესაც დიდი ძვრები იყო და საბჭოთა კავშირი დაიშალა, თბილისში ჯიხურები და პოლიტიკური პარტიები ერთნაირი ინტენსივობით იხსნებოდა. მაშინ ბევრი პოლიტიკოსისგან გამიგია, „აი, ამერიკამ გადაწყვიტა, ამ რეგიონში საქართველო მეორე ისრაელი გახდესო". რას ნიშნავს ეს?! რის ხარჯზე უნდა გამხდარიყო საქართველო მეორე ისრაელი? – არც მეტი, არც ნაკლები – თურქეთის დაშლის ხარჯზე. ეს ქართული საზოგადოების ორიენტაციის კიდევ ერთი ნათელი მაგალითია. საერთო ჯამში, თუ გვინდა, ვთქვათ, როგორ ხასიათდება ქართული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცნობიერება, ვიტყვი, რომ ქართული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცნობიერება არ არსებობს, რადგან არ არსებობს არანაირი ცნობიერება, თუ მას არ აქვს საფუძველი. ჩვენ ილუზიებით ვცხოვრობთ: ხან ბორჯომი გაგვამდიდრებს, ხან – სვანეთის ფოსფორი... საკუთარ ოცნებაზე დაფუძნებული ცნობიერება არ არის ცნობიერება – ეს არ არის მყარი, რაციონალური ნაციონალური ცნობიერება, როგორიც აქვთ, მაგალითად, გერმანელ და სომეხ ერებს. სამწუხარო ის კი არაა, რომ სომეხ ერს იგი აქვს, არამედ ის, რომ ჩვენ არ გვაქვს და დღემდე მუდმივად ვიკვებებით ილუზიებით. მოჭიდავე, რომელიც ორივე ფეხით არ დგას ხალიჩაზე, ყველა შემთხვევაში მარცხდება, რაოდენ ღონიერიც არ უნდა იყოს, ხოლო თუ კი ის ღონიერიც არ არის, ნებისმიერი შეტევა მით უმეტეს მარცხით დამთავრდება. ასეთი ერები პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სამხედრო ბრძოლებში აუცილებლად მარცხდებიან, რადგან რისთვის იბრძვიან, არ აქვთ გაცნობიერებული.

**— ამ ყველაფრიდან გამომდინარე, როგორ შეაფასებთ ქართული საზოგადოების განვითარების ტემპს?**

— ნებისმიერი ერი ვითარდება, ანუ იცვლება პოზიტიური კონტექსტით, იმიტომ, რომ მიმდინარეობს გლობალური პროცესები და ტელევიზორს რომ ჩართავ, არ შეიძლება არ დაინახო, თუ რას ნიშნავს ცივილიზაცია. როგორც წესი, განვითარებაში პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძვრებს გულისხმობენ, მის ზედნაშენ ღირებულებად კი ხელოვნება ითვლება, თუმცა ჩემთვის ის, რაც ხდება, განვითარება არ არის. შეიძლება, ერი პოლიტიკურად და კულტურულად განვითარდა, მაგრამ არა იმდენად, რომ მას თუნდაც განვითარებადი დავარქვათ. კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ განვითარებადი ერი, თუნდაც ტერიტორიებდაკარგული, ორივე ფეხით უნდა იდგეს ხალიჩაზე, მაგრამ სამწუხაროდ, ჩვენ ფეხზე არ ვდგავართ. შესაბამისად, ამ კონტექსში „განვითარება" მხოლოდ მექანიკური ტერმინი მგონია.

**— რამდენად სწორად აღიქვამს ქართული საზოგადოება დასავლურ ღირებულებებს, რომლისკენაც ქვეყანას ოფიციალურად კურსი აქვს აღებული?**

— და ვინ თქვა, რომ ქართული საზოგადოება საერთოდ აღიქვამს ამ ღირებულებებს?! რას ნიშნავს „დასავლური ღირებულებები", შეგვიძლია, რომ ვთქვათ?! არადა, ეს ხომ რაღაც ვირტუალური მცნება არ არის?! – დასავლური ღირებულებები ეყრნდობა კონკრეტულ, პრაქტიკულ გარემოებებს. დასავლური ღირებულების ქვაკუთხედი ადამიანის უფლებაა, არა კოლექტივზე, არამედ ადამიანზე ორიენტირებული სახელმწიფო და კარგია ეს თუ ცუდი – სხვა საკითხია. დასავლური ღირებულებების მთელი სიკეთე შეიძლება, ერთი წინადადებით გამოხატო: ყველა ადამიანის უფლება მთავრდება იქ, სადაც სხვა ადამიანის უფლება იწყება. რაიმე მსგავსს ვხვდებით ჩვენთან? მართალია, ადამიანებს უფლება მიეცათ, სოციალურ ჭრილში რაღაც გააპროტესტონ, მაგრამ ვნახოთ, რა ხდება ამ სფეროში რეალურად: სოციალური პროტესტი ნიშნავს იმას, რომ თუ დავინახე, რომ სტატუსი განსაზღვრავს შემოსავალს და ამით ირღვევა ფუნდამენტური ღირებულება, კონსტუტიციის მიხედვით, მე შემიძლია, ეს გავაპროტესტო. თქვენ ამ ქვეყანაში რაიმე ტიპის სოციალურ პროტესტს ხედავთ?

იხ. 6 გვ.

ვინ – ვის?

# „მე წავალ მის წინააღმდეგ, ვინც რევოლუციის გზით წავა!"

(მესამე გვერდიდან)

– ლოგიკურად იმაზეც უნდა გეფიქრათ, რომ ოპოზიციური ხმების გაყოფის და დამარცხების ალბათობაც მაღალია, ვინაიდან თქვენი მხარდამჭერების ხმების გაყოფით მხოლოდ ხელისუფლება ისარგებლებს...

– შესაძლოა, ხელისუფლება შეეცადოს, რომ ამით ისარგებლოს, მაგრამ არ მგონია, რომ კანდიდატების დიდი არჩევანი იყოს, ვგულისხმობ წონიანი პოლიტიკური ძალების მიერ დაყენებულ კანდიდატურებს.

**— შესაძლოა, ე.წ. მართულ ოპოზიციას წონიანი კანდიდატები არ ჰყავდეს, მაგრამ თქვენთვის ხმების გარკვეული რაოდენობის წართმევას მაინც შეძლებენ....**

– ჰიპოტეტურად ვერ გიპასუხებთ. ჯერ დაინიშნოს არჩევნები, გამოაცხადონ ვინ იღებს არჩევნებში მონაწილეობას და მერე ვისაუბროთ ამ თემაზე.

**— ორი დღის წინათ გამოქვეყნებული კვლევის შედეგების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პროგნოზი ოპოზიციისათვის არცთუ დამაიმედებელია....**

– ამაზე ერთადერთი რამ შემიძლია გითხრათ – კვლევამ ის შედეგები გვიჩვენა, რომელიც ჩვენ გვეკუთვნოდა და საკმაოდ კარგი შედეგები გვაქვს. მე ვერაფერს გეტყვით იმის შესახებ, რაც ნაციონალურ არხებზე გაჟღერდა!

**— თქვენ ახსენეთ მხარდაჭერა გარედან, რაც აპრილის დღეებში, ჩემი აზრით, ოპოზიციისათვის მაინცდამაინც დამაიმედებელი არ იყო. ახლა როგორია ეს მხარდაჭერა, რა შეიცვალა?**

– მათი მხარდაჭერა დღეს უპრეცედენტოდ მაღალია არა რომელიმე კანდიდატურის მიმართ, არამედ იმ იდეის მიმართ, რომ ცვლილებები უნდა განხორციელდეს არჩევნების გზით. ისინი სწორად ხედავენ, რა პრობლემები აქვს დღეს ხელისუფლებას და ქვეყანას. შესაბამისად, უკვე გადაწყვეტილია სერიოზული პოლიტიკური და ფინანსური რესურსების ჩადება დემოკრატიული და თავისუფალი პოლიტიკური გარემოს შესაქმნელად ქვეყანაში.

**— ჩემი აზრით, ოპოზიციის ნაწილი მუშაობს იმისთვის, რომ საზოგადოებას საკუთარი შესაძლებლობები წარუდგინოს, ნაწილი და სხვათა შორის საკმაოდ დიდი ნაწილი, ამისთვის არაფერს არ აკეთებს. თუ ასე გაგრძელდება და ამ რეჟიმში წავა პოლიტიკური პროცესები, საზოგადოებისათვის ცოტა გაურკვეველი დარჩება, რატომ არის ოპოზიცია ხელისუფლებზე უკეთესი, თორემ ეს ხელისუფლება რომ წარმატებული არ არის, ხალხმა ისედაც კარგად იცის.**

– სხვის აქტიურობებზე მე კომენტარს ვერ გავაკეთებ, მე შემიძლია ვისაუბრო ჩვენს პოლიტიკურ ალიანსზე. ამ კვირიდან ჩვენ უკვე გვექნება თემატური პრესბრიფინგები, საზოგადოებისათვის საინტერესო თემებზე, როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება და სხვა სოციალური საკითხები, რომელზეც არ ვისაუბრებთ მხოლოდ პრობლემებზე, არამედ საუბარი იქნება გამოსავალზე, რადგან მიმაჩნია, რომ ჩვენი თანამოქალაქეებისათვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. შეხვედრების დროს ისინი სწორედ ამის შესახებ მეკითხებიან – სად არის და არ არის გამოსავალი. სწორედ ამიტომ, ჩვენ ამ მიმართულებით ძალიან აქტიურად ვმუშაობთ, რომ შევთავაზოთ მათ უკეთესი ალტერნატივა, ვიდრე ხელისუფლება სთავაზობს.



**— სხვა პოლიტიკურ ძალებთან როგორ თანამშრომლობთ?**

– ხაზგასმით ვამბობ, რომ კონსულტაციები გვაქვს ყველა ძალასთან, იგივე „ეროვნულ ფორუმთან" და სხვა პარტიებთან. გვაქვს აქტიური კონსულტაციები, მუდმივად ხდება ხედვების ურთიერთგაცვლა. რაღაცაში ვთანხმდებით, რაღაცაში ვერა, მაგრამ ეს არის ძალიან ჯანსაღი პოლიტიკური პროცესი. მთავარია, რომ ფუნდამენტურ საკითხებზე ვთანხმდებით.

**— რას აპირებს ალიანსი, რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას ოპოზიციის გარკვეული ნაწილის მიერ დაგეგმილ ნოემბრის აქციებში?**

– ჩვენ ვაპირებთ აღვნიშნოთ 7 ნოემბერი, რადგან ეს ის დღეა, როდესაც სააკაშვილის ხელისუფლებამ დემოკრატიული განვითარების ყველა იმ პრინციპს გადაუხვია, რასაც აქამდე მხარს უჭერდა. გარდა ამისა, ეს იქნება იმ ადამიანებისათვის თანადგომის გამოცხადება, ვინც ამ ძალადობის მსხვერპლი გახდა. მიმაჩნია, რომ ამ დღის აღნიშვნა უნდა მოხდეს მშვიდობიანად, კანონიერი აქციით. სხვა შემოთავაზებების შესახებ მე არ ვიცი, ამიტომ დაველოდები მათ წინადადებებს, ვინც აქციებს გეგმავს და მხოლოდ ამის შემდეგ გადავწყვეტთ, რა ფორმით მიიღებს მონაწილეობას ალიანსი ამ აქციაში.

**— ახლა, ამ გადასახედიდან როგორ ფიქრობთ, ისევ აქვს აზრი დიალოგს მიხეილ სააკაშვილთან?**

– რა თქმა უნდა, აქვს.

**— რა საკითხზე?**

– ყველა საკითხზე, მათ შორის ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებზე. თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ მივედით უშიშროების საბჭოზე და ხელისუფლებას ჩვენი წინადადებები შევთავაზეთ. გარკვეულწილად, გაიზიარეს ჩვენი მოსაზრებები. არის საკითხები, რაზეც არა მხოლოდ დიალოგი უნდა შედგეს, არამედ უნდა ვითანამშრომლოთ კიდეც ხელისუფლებასთან.

**— კერძოდ?**

– თუნდაც ქვეყნის დეოკუპაციის საკითხი, არის კიდევ უამრავი საკითხი...

**— თუმცა ხელისუფლებამ თქვენი აზრი ბევრ საკითხთან დაკავშირებით არ გაიზიარა...**

– არ გაიზიარა, მაგრამ ყოველთვის აქვს აზრი შენი პოზიციის მასთან მიტანას.

**— ხვალ რომ გქონდეთ დაგეგმილი შეხვედრა პრეზიდენტ სააკაშვილთან, რა თემაზე ისაუბრებდით, რა არის, თქვენი აზრით, ყველაზე სერიოზული პრობლემა ამ ეტაპზე?**

– საარჩევნო გარემოს შეცვლაზე. ასევე, უმნიშვნელოვანესი საკითხია ქვეყნის უსაფრთხოება და მიმაჩნია, რომ ახლა ყველა ამ პრობლემის ირგვლივ უნდა გავერთიანდეთ.

**— ისევ თბილისის მერის არჩევნებს დავუბრუნდეთ, დამარცხების შემთხვევაში ბრძოლის რა გზას აირჩევთ?**

– ეს ჰიპოტეტური შეკითხვაა. რა თქმა უნდა, არსებობს როგორც გამარჯვების, ასევე დამარცხების შანსი. დღეს ჩემთვის მთავარი საარჩევნო სისტემის შეცვლაა. თუ შევძელით და შევქმენით, ეს იქნება დიდი მიღწევა არა მარტო ოპოზიციისთვის, არამედ ჩვენი ქვეყნის დემოკრატიისთვის. რაც შეეხება შედეგს – ჩვენი პოლიტიკური ძალა ორიენტირებულია გამარჯვებაზე. მე მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობ!

**ანი მიროტაძე,**
**საინფორმაციო სააგენტო „პირველი"**

ვარაუდი

# „ქართული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ცნობიერება არ არსებობს“

(მეხუთე გვერდიდან)

ხელისუფლებამ გარკვეული ბიზნესმენების მიმართ ამნისტია განახორციელა და იმ ხალხს, რომელიც აქამდე ფულს არ იხდიდა, შეუძლია, არც ახლა გადაიხადოს. ეს ნორმალური აქტი იყო? ეს ხომ არანორმალურია?! სახელმწიფოს არ ჰქონდა უფლება, ბიზნესისათვის ვალები ეპატიებინა. ამასთან დაკავშირებით გინახავთ სადმე სოციალური პროტესტი? რა თქმა უნდა, არა! ან სად იყო ჩვენი სოციალური პროტესტი, როცა ხელისუფლებაში უკვე მესამეჯერ 90 პროცენტით ავირჩიეთ ადამიანი?! არადა, ხომ არ შეიძლება, ასიდან 90 კაცს ერთი და იგივე მოსაზრება გვქონდეს?! ეს ხომ პირდაპირი ნიშანია იმისა, რომ არჩევითობა და შეჯიბრებითობა არ არის კალაპოტში?! ჩვენ მხოლოდ მაშინ გაგვიჩნდა სოციალური პროტესტი, როცა მოვინდომეთ ერთი ხელისუფლების მეორეთი ჩანაცვლება. ამ შემთხვევაში სოციალური პროტესტი არა იმას ისახავდა მიზნად, რომ „მე ვიყო კარგად“, არამედ ვიღაცის ცუდად ყოფნას. ამ კონტექსტში არ ვართ ჯანსაღი საზოგადოება და ამას მე კი არ ვამბობ, არამედ ჩემზე დიდს უთქვამს: თუ რამე ვიცი, ვიცი ილია ჭავჭავაძისგან. სოციალური პროტესტის არარსებობა ილიამ მაშინ დაინახა, როცა პირველად გადმოკვეთა საქართველოს საზღვარი და ეგონა, რომ რაღაცას დაინახავდა, — არც მეტი, არც ნაკლები, ყაზბეგში ბორდელი დაინახა, სადაც რიგში რუსი ჯარისკაცები იდგნენ! როგორ ფიქრობთ, ბორდელში ქალებიც რუსები იყვნენ ჩამოყვანილი?! თუმცა არც მაშინ გაჩნდა ამ ბორდელის მიმართ პროტესტი. ჩვენ სოციალური პროტესტის უნარი არ გვაქვს, არ შეგვიძლია, სოციალური კონტროლი დავაწესოთ პროცესებზე, ჩვენ მხოლოდ ჩხუბი შეგვიძლია რუსთაველზე.

**— რა უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ საზოგადოება განვითარდეს და აკისრია თუ არა ხელისუფლებას პასუხისმგებლობა, აუხსნას საზოგადოებას, რას ნიშნავს დასავლური ღირებულებები?**

— ხელისუფლებას ამ კონტექსტში ისეთივე ვალდებულებები აქვს, როგორიც თქვენ ან მე. ხელისუფლებასაც, რა თქმა უნდა, აქვს ვალდებულებები, არა იმიტომ, რომ ის ქვეყნის სათავეშია, არამედ იმიტომ, რომ ხალხმა აირჩია და მას დააკისრა ქვეყნის მენეჯმენტის ფუნქცია, რომელიც თავად საზოგადოებას არ გააჩნია. ხალხი ინსტიტუციურად და დემოკრატიულად იმისთვის ირჩევს ხელისუფლებას, რომ გადაწყვიტოს როგორც დეკლარირებული (გაზი, წყალი, განათლების სისტემა და ა.შ.), ასევე არადეკლარირებული და შესაბამისად, საზოგადოებისთვის უცნობი საკითხები. ამ კონტექსტში ვალდებულება, რა თქმა უნდა, არსებობს, მაგრამ არა სამართლებლივი, არამედ მორალური. ამ ვალდებულებებზე არავინ საუბრობს და თუ საზოგადოებას არ უნდა, ვერანაირი ხელისუფლება ამას ვერ გამოასწორებს. როცა ჩვენ თვითონ ვილტვით იმისკენ, რომ ვიღაცას სტატუსი მივანიჭოთ, მაშინ ნუ მოვთხოვთ იმ სტატუსმინიჭებულ ადამიანს, არ იყოს კორუმპირებული, რადგან ჩვენვე მივეცით მას ძალაუფლება კორუფციისთვის. საინტერესო ის არის, რომ ჩვენ არა კორუფცია გვაშინებს, რომელიც ავთვისებიანი სიმსივნეა საზოგადოებაში, არამედ კორუფციაში ერთი და იგივე პირების დიდხანს ჩართულობა. როგორც ჩანს, ჩვენი აზრით, კორუფციის სისტემაში ჩინოვნიკები როტაციის წესით უნდა იცვლებოდნენ.

**— დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველოში არც ერთი ხელისუფლება არჩევნების გზით არ შეცვლილა. მიტინგები, პროტესტის სხვადასხვა ფორმით გამოხატვა... ამ ყველაფერს ამჟერად ე.წ. საკნებიც დაემატა.. როგორ შეაფასებდით ოპოზიციური ბრძოლის მსგავს მეთოდებს და მათ შედეგიანობას?**

— შედეგები სახეზეა: არც ერთი კონკრეტული საკითხი არ მოგვარდა — ყველაზე მცირეც კი. ძალიან მეეჭვება, თავად აქციები ყოფილიყო ოპოზიციის ბრძოლის მიზანი. ამავდროულად, ეს იყო მომგებიანი ვითარება მიხეილ სააკაშვილისთვის, რომელმაც, როგორც ნიჭიერმა ადამიანმა, თავის სასარგებლოდ გამოიყენა კიდეც ეს ყველაფერი. აქამდე ამას არ ვამბობდი, რადგან გარკვეული მორალური ლიმიტი მქონდა, მაგრამ **დღეს შემიძლია, ვთქვა, რომ ოპოზიციის მიერ წარმართული ამ პროცესების შედეგად მოიგო მხოლოდ ხელისუფლებამ და მოიგო ძალიან ბევრი, ყველა ოპოზიციონერმა კი წააგო. 9 აპრილის მიტინგები სულ რომ არ ყოფილიყო, დღეს ხელისუფლებაში ძალიან დიდი პრობლემები იქნებოდა, ამ აქციებით კი ოპოზიციამ ყველაფერი გააკეთა, რომ ეს პრობლემები ხელისუფლებას არ ჰქონოდა. გარდა ამისა, ოპოზიციის სოციალური, ამომრჩეველთა რესურსი, რომელიც მიტინგების დაწყებამდე დაახლოებით 76 პროცენტს შეადგენდა, დღეს მხოლოდ 40-42 პროცენტია. არ არსებობს არც ერთი არგუმენტი იმის სასარგებლოდ, რომ ოპოზიციამ ამით რაიმე მოიგო.** მიუხედავად ამისა, ოპოზიციონერები დღემდე რაღაც ზღაპრებს ყვებიან და ჯერ კიდევ ვერ ხვდებიან, რამდენი გაუფუჭეს არა მარტო საკუთარ თავს, არამედ ქვეყანას საკუთარი სრულიად უპასუხისმგებლო ქმედებებით. როცა არ იცი საქმე, არ უნდა მოკიდო მას ხელი!



**— თქვენ აღნიშნეთ, რომ „ოპოზიცია ჯერ კიდევ ვერ ხვდება, რამდენი გაუფუჭა ქვეყანას“. რას გულისხმობთ კონკრეტულად?**

— ჩემთვის მიხეილ სააკაშვილის წასვლა მთავარი არ იყო. ამოცანა ქართული საზოგადოებისათვის უკეთესი პერსპექტივების დანახვაში მდგომარეობდა. ვინ იქნება ხელისუფლებაში, ჩემი საქმე არ არის, მთავარია, ვინც იქნება, იმან პერსპექტივების განსახორციელებლად ინსტრუმენტები დამანახოს. ამისათვის საჭიროა პოლიტიკური გარემო. ამ პოლიტიკურ გარემოს ჰქვია პოლიტიკური ბალანსი. მინდოდა, მიგვეღო დაბალანსებული ხელისუფლება, მივიღეთ ეს? ვერ მივიღეთ და ასეთი ბალანსის შექმნის პერსპექტივამ გაურკვეველი ვადით გადაიწია, — აი, რა ჩაიდინა ოპოზიციამ!

**— აპრილის აქციებზე შეკრებილი საზოგადოების ნაწილი განსაკუთრებული ოვაციით „რადიკალებად“ წოდებულ ოპოზიციონერ ლიდერებს ხვდებოდა, ყველაზე მეტ ტაშს კი უცენზურო გამოთქმების ავტორები იმსახურებდნენ... როგორ ფიქრობთ, როგორ შეიძლება, შეფასდეს ეს ფაქტი და საზოგადოების რა განწყობებზე მეტყველებს იგი?**

— ვერ დაგეთანხმებით: არა საზოგადოება ხვდებოდა ტაშით, არამედ რუსთაველზე შეკრებილი ადამიანების მხოლოდ ნაწილი. უცენზურო გამოთქმებით „შემკობილი“ ემოციური გამოსვლები „გაყიდვადი პროდუქტი“ იყო. პრიმიტიული ქცევაა ეს, — ლანძღვაც პრიმიტიულია და ლანძღვისათვის ტაშის კვრაც.

**— პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარე, რომელიც რევოლუციურ ტრიუმვირატში ყველაზე მეტი კონსტრუქციულობით გამოირჩეოდა და მუდმივად დიალოგის მომხრე იყო, დღეს ყველაზე რადიკალურ განცხადებებს აკეთებს და ვადამდელ საპრეზიდენტო არჩევნებს ითხოვს. რას უკავშირებთ მის ასეთ პოზიციას და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის შემთხვევაში რა შანსები აქვს ბურჯანაძეს?**

— რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, ნინო ბურჯანაძის პოლიტიკური გუნდი თვლის, რომ რაღაც პერიოდმა ჩაიარა, გასაკეთებელი საქმე გაკეთდა და ახლა ახალი პოლიტიკური კურსია საჭირო, შეიძლება, უფრო პრინციპული და უკომპრომისო (რაც არის, იმაზე უფრო თუ შეიძლება, იყოს), მაგრამ რამდენადაც მე ვარ ინფორმირებული, ეს პოლიტიკური მიდგომები შეიცვლება.

**— და ბოლოს, მომავალ გაზაფხულზე, მაისში ადგილობრივი არჩევნებია დანიშნული. რა შანსები აქვს ზოგადად ოპოზიციას?**

— თუ ასე გააგრძელა ოპოზიციამ — გაუთვლელად, გაუაზრებლად, დაუგეგმავად მოქმედება, მას არანაირი შანსი არ ექნება, ყველაფერს წააგებს, მათ შორის — თბილისსაც. მაგრამ თუ ოპოზიციამ ჭკუა იხმარა და საკუთარ თავს ელემენტარული სწორი კითხვები დაუსვა, მაშინ გაუჩნდება შანსი, ხელისუფლებას ქვეყნის ქალაქურ ნაწილში პარიტეტულად ებრძოლოს. სოფლის ნაწილში ოპოზიციას ყველა შემთხვევაში გაუჭირდება. თუ ოპოზიცია გაერთიანდა ერთ დიდ ფლანგად, საქართველოში რამდენიმე უბნის მოგების შანსი ექნება, — დანარჩენს ყველაფერს წააგებს.

**ლევან ჭითანავა**

შეხვედრები ოკეანის გაღმა

# დავით ბაქრაძე: ამ ლოგიკით მეორე მსოფლიო ომი გერმანიამ კი არა, პოლონეთმა დაიწყო...

(მეოთხე გვერდიდან)

ჩვენ კი დისკოთეკებს იმიტომ ვმართავდით, რომ ბარიკადების იქითა მხარეს კალაშნიკოვები და სანგრები იყო, აქ კი — ნორმალური ცხოვრება. ბოლო ოთხი წლის განმავლობაში სწორედ ამით ვიყავით დაკავებული. სამწუხაროდ, ახლა ყველაფერი დანგრეულია.

ჩვენ ვთქვით, რომ შარშან აგვისტოში, დიახ, ჩვენ გავისროლეთ, მაგრამ ჩვენ იძულებული ვიყავით გაგვესროლა ორი გარემოების გამო. პირველი: როცა ქართული მხარე იძულებული იყო გაეხსნა ცეცხლი, რადგანაც რუსული ჯარების ინტერვენცია უკვე მომხდარი ფაქტი იყო. რუსები უკვე იყვნენ საქართველოში და ეს გასროლა გაეროს წესდების თანახმად მოხდა, რადგანაც საქართველო თავის სახელმწიფოებრიობას იცავდა. მეორე: საქართველოს მოსახლეობის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და ამიტომ საქართველო იძულებული იყო, რომ ემოქმედა. ტალიავინის დასკვნაში წერია, რომ საომარი მოქმედებების დაწყების მომენტში საქართველოს ტერიტორიაზე დაქირავებული ბოევიკები იმყოფებოდნენ, იქ იმყოფებოდნენ რეგულარული რუსული სამხედრო ნაწილები, რომლებიც მშვიდობისმყოფელებს არ ეკუთვნოდნენ. საერთაშორისო სამართლით, ეს აგრესიის აქტად ითვლება. როცა ქვეყნის ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის ჯარი იმყოფება, მხოლოდ მთავრობა წყვეტს, თუ რა უნდა მოიმოქმედოს: წავიდეს, დარჩეს, მიატოვოს ქვეყანა თუ სხვა რამ ჰქნას. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ ცეცხლი ქართულ დასახლებაში ქართველ მშვიდობისმყოფელებს გაუხსნეს. დიახ, ჩვენ იძულებული ვიყავით ჩვენი მოსახლეობა და ჩვენი ქვეყანა დაგვეცვა. მაგალითად, თქვენ უცებ ღამე იღვიძებთ და თქვენსავე სახლში შეიარაღებულ ადამიანს ხედავთ, ამავე დროს პატრული 911 არ პასუხობს, ანდა ტელეფონზე ვერ რეკავთ. ეს შეიარაღებული ადამიანი კი თქვენს ოჯახს საფრთხეს უქმნის და ამ შემთხვევაში თქვენ პირველმა გაისროლეთ. მაგრამ სამართალდარღვევა იწყება არა თქვენი გასროლის მომენტიდან, არამედ იმ მომენტიდან, როცა თქვენს ბინაში შეიარაღებული ადამიანი უკანონოდ შეიჭრა. ომი საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოჭრის მომენტიდან იწყება და არა იმ მომენტიდან, როცა საქართველომ პირველად გაისროლა. ამგვარი ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, მაშინ მეორე მსოფლიო ომი გერმანიამ კი არა, პოლონეთმა დაიწყო. ამგვარი ლოგიკა კი იმას ნიშნავს, რომ ერთი მოვლენა იმ მოვლენათა ჯაჭვიდან ამოაგდო, რომელმაც, სამწუხაროდ, შარშანდელ ტრაგედიამდე მიგვიყვანა.

რაც შეეხება იმას, რომ საქართველო მძინარე ცხინვალს დაესხა თავს. ცნობილია, რომ ქალაქიდან მშვიდობიანი მოსახლეობა თავად ოსებმა გაიყვანეს, ხოლო ქართული მხარე საცეცხლე წერტილებს ახშობდა. რასაკვირველია, არავის საქართველოში არ უნდოდა, არ უნდა და არ აპირებს რუსეთთან ომს, ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და როგორ შეგვიძლია ამაზე ვიფიქროთ? ეს ხომ თვითმკვლელობაა. მაგრამ ის, რაც მოხდა ამ სიტუაციაში, იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოს სხვა არჩევანი არ ჰქონდა. არჩევანი ისეთივე იყო, როგორიც 1921 წელს, როცა საქართველოში წითელი არმია შემოვიდა: მთავრობა ან უნდა გაქცეულიყო საქართველოდან ანდა ქვეყანა უნდა დაეცვა. ამჯერად მთავრობამ გადაწყვეტილება ქვეყნის დაცვის სასარგებლოდ მიიღო. ეს ძალიან სარისკო იყო და მისთვის, მართალაც, დიდი საფასური გავიღეთ. მაგრამ ეს იყო ერთადერთი გამართლებული, თუმცაღა იძულებითი გადაწყვეტილება. ბოლო 18 წლის განმავლობაში ჩვენს სეპარატისტულ რეგიონებში რუსეთი იმყოფებოდა. ამის ფონზე ჩვენ სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში სამშვიდობო გეგმების წარდგენით სამშვიდობო პროექტების განხორციელება გვინდოდა, მაგრამ ერთადერთი, ვინც ამას ეწინააღმდეგებოდა — რუსეთი იყო. მაშინ ეს ჩრდილოვანი პროცესი იყო, ახლა კი ღია გახდა. მას თავისი სახელი დაერქვა და ამჯერად რუსეთი ფიგურირებს არა როგორც ნეიტრალური სამშვიდობო, არამედ კონფლიქტის მხარე.

რადიო „დავიდზონის“ ეთერში ბაქრაძეს ქართული ოპოზიციის შესახებაც ჰკითხეს, რაზეც საქართველოს პარლამენტის სპიკერმა განაცხადა, რომ, ბუნებრივია, ოპოზიცია უნდა არსებობდეს, მაგრამ უნდა გაირკვეს, ეს ოპოზიცია ოპონირებას პოლიტიკურ პარტიას თუ ქვეყნის ინტერესებს უწევს? ესაა პრინციპული განსხვავება. ბაქრაძემ დასძინა: „მე მინდა ისეთი ოპოზიცია გვყავდეს, რომელიც მთავრობის მიმართ ძალიან მკაცრი და კრიტიკული იქნება. ჩვენ ოპოზიციის გარეშე ძალიან გაგვიჭირდება, რადგანაც მთავრობა შეცდომებს ყოველთვის უშვებს და ცხადია, რომ მას შეცდომებზე მიმთითებელიც უნდა ჰყავდეს. ჩვენ მივაღწიეთ იმას, რომ ოპოზიციის რაღაც ნაწილთან თანხმობა გვაქვს. ჩვენ მეგობრებსაც და მტრებსაც უნდა ვაჩვენოთ, რომ ჩვენ ქვეყნის დაცვის უნარი შეგვწევს. და თუ ამას ოპოზიციის გარკვეული ნაწილი არ გაიზიარებს, იგი ქართულ პოლიტიკაში მარგინალის ადგილს დაიკავებს.

**ია მერკვილაძე,**
**„სრ“ საკ. კორ. აშშ-ში, ნიუ-იორკი**



ინგუში მეგობარი

***„2009 წლის 23 სექტემბერს, 15 საათზე, გიწვევთ ცნობილი ინგუში მწერლის, საზოგადო მოღვაწისა და თბილისის საპატიო მოქალაქის იისა კოაზოის საიუბილეო საღამოზე“, — ნათქვამი იყო მოსაწვევ ბარათში, რომელიც კავკასიის ფონდის პრეზიდენტმა, ცნობილმა არქეოლოგ-კავკასიოლოგმა გივი ლამბაშიძემ რამდენიმე დღის წინათ თავაზიანად გადმომცა, როცა ფონდის ოფისს ვესტუმრე.***

***თბილისობის ლამაზ დღესასწაულს, რომელიც, წესისამებრ, ოქტომბრის ბოლო შაბათ-კვირას იმართება ხოლმე, ერთი ასეთივე ლამაზად გამორჩეული ტრადიცია აქვს: ზეიმის ერთ-ერთ მძლავრ აკორდად დედაქალაქის საპატიო მოქალაქეთა დასახელება გადაიქცევა ხოლმე, რომელთა რიცხვში მოხვედრა, ჩემი აზრით, უდიდესი პატივია როგორც ნებისმიერი თბილისელისთვის, ასევე ჩვენი ახლო თუ შორეული მეზობლისთვის. წლეულს ეს პატივი, სხვებთან ერთად, როგორც აღვნიშნე, ცნობილ ინგუშ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს იისა კოაზოის ერგო და იგი მის 70 წლისთავსა და ქართულ ენაზე პირველი გამოცემული წიგნის „ჯურღმულთან“ მკითხველთათვის წარდგენას დაემთხვა.***

# „ქართველი მეფის“ კავკასიური ეთიკის კოდექსი



იისა კოაზოი დაიბადა 1938 წელს ინგუშეთის უძველეს სოფელ ანგუშთში. 1944 წლის თებერვალში ექვსი წლის ბიჭუნა ოჯახის თერთმეტ წევრთან ერთად ჩრდილოეთ ყაზახეთში გადაასახლეს... 1956 წელს იქიდან 18 წლის ჭაბუკი მარტო დაბრუნდა.

1963 წელს, ჩეჩნეთ-ინგუშეთის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ სუკ-მა დააპატიმრა და ოთხი წლით გულაგის მორდოვეთის ბანაკებში უკრა თავი, სადაც იგი მთელი ყოფილი საბჭოთა კავშირიდან იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლ, ფაქტობრივად, ყველა კუთხისა და ყველა ერის შვილს დაუმეგობრდა, თუმცა გამორჩეული ურთიერთობა ქართველებთან, ზუგდიდელ პატრიოტებთან ზაურ და ინდიკო ქობალიებთან, ბიჭიკო სანაიასთან, სხვებთან ჩამოუყალიბდა. ამ ხალხს ბატონი იისა დღეს ძმებად მიიჩნევს.

80-იან წლებში იისა კოაზოი სათავეში ჩაუდგა ორგანიზაცია „ნიისხოს“ („სამართლიანობას“ძ, რომელიც ინგუშთა ერთიანობის, დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნისა და ქვეყანაში დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის მებაირაღე იყო.



— განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო ჩემი მეგობრობა საქართველოს პირველ პრეზიდენტთან ზვიად გამსახურდიასთან და დიდ მამულიშვილთან მერაბ კოსტავასთან, — მითხრა ბატონმა იისა კოაზოიმ შეხვედრისას. — თუმცა გარდა ამ ღირსეული ვაჟკაცებისა, ასევე დიდი მეგობრობა მაკავშირებს მერაბ ჩუხუასთან, ვალტერ შურღაიასთან, დავით და ვანო გიგაურებთან, ნუგზარ წიკლაურთან.

ისე კი, მინდა გითხრათ, რომ ქართველებსა და საქართველოსთან ჩემი ურთიერთობა ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო, რადგან მშობლები და ახლობლები „ქართველ მეფეს“ მეძახდნენ. ეს ამბავი იმას უკავშირდება, რომ მაშინდელი ორჯონიკიძიდან (ახლანდელი ვლადიკავკაზიძ ხევსურეთში ქართველი ბერები გადავიდნენ და გზად ჩემი სოფელი გადმოიარეს, ის ღამე გაუთევიათ ჩვენს ოჯახში მე რომ დავიბადე და როცა ალიონზე გზას გაუდგნენ, უთქვამთ, ეს ჩვილი ვაჟკაცად გაიზრდება, რომელსაც ბოლო ამოსუნთქვამდე ეყვარება საქართველო და ქართველებიო...

ჩემი სოფელი ანგუშთი ერთ-ერთი უძველესია, თბილისივით თითქმის 15 საუკუნეს ითვლის, ჩემი სახლის ფანჯრიდან სწორედ ის მთა მოჩანს, რომელსაც ლეგენდით ამირანი (პრომეთეძ მიაჯაჭვეს, პარასკევს საღამოობით კი, შებინდებისას, როგორც ადრე ბებია მიამბობდა, ამირანის ჯაჭვების ხმა ისმის, რომელთაგან გათავისუფლებას იგი ამაოდ ცდილობსო.

მწერლური მოღვაწეობა ჯერ კიდევ ყაზახეთში გადასახლებისას დავიწყე, როცა საერთო რვეულში იმ ამბებს ვიწერდი, რაც უფროსებისგან მესმოდა და, ბუნებრივია, ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა კითხვა მიჩნდებოდა, რომლებსაც გროზნოს პედაგოგიურ ინსტიტუტშიც ვუსვამდი მეგობრებსა თუ პედაგოგებს და, ცხადია, მალე მოვხვდი სუკ-ის თვალთახედვის არეში. ამიტომაც იყო, რომ ერთ მშვენიერ დღეს, 1963 წლის გაზაფხულზე მე და ჩემი მეგობარი დაგვაპატიმრეს და მორდვეთის ბანაკში ამოვყავი თავი, სადაც ქართველებს დავუმეგობრდი და ეს ძმობა მთელი ცხოვრება გამოვატარეთ. მინდა ისიც გითხრათ, რომ ბანაკის უფროსობა ბევრს ცდილობდა ჩვენი კავკასიური საძმოს დაშლას, მაგრამ რაც მეტს ცდილობდნენ, მით უფრო მეტად ვეკვროდით ერთმანეთს.

აქვე ალბათ ისიცაა სათქმელი, რომ ქართველებთან შეხვედრა ჯერ კიდევ 1956 წელს მქონდა, ჩრდილოეთ ყაზახეთში —ბავშვთა სახლის გვერდით, სადაც ვიზრდებოდი, იმ წლის მარტში თბილისში დაპატიმრებული ახალგაზრდები გავიცანი, რომლებიც იქ გაამწესეს პატიმრობის ვადის მოსახდელად. ამის გულისთვის სამი დღით კარცერში ულუკმაპუროდ და უწყლოდ ჩამკეტეს, ვიდრე ინტერნატის დირექტორმა კარი გატეხა, შემდეგ ჩემი პირადი საქმე გადმომცა და მითხრა: აქედან მოუსვი და უკან აღარასოდეს მოიხედოო. ვსარგებლობ შემთხვევით და მას მადლობა მინდა გადავუხადო საქვეყნოდ...

კავკასიაში, გნებავთ ჩრდილოეთში, გნებავთ სამხრეთში, ყველა ხალხს ერთიანი, კავკასიური პატიოსნების სრულიად გამოკვეთილი ეთიკის კოდექსი აქვს და ჩემი ქართველი მეგობრები ამ კოდექსის, კაცური მოქცევის უმწიკვლო რაინდები გახლავან.

საგანგებოდ კიდევ ერთხელ მინდა აღვნიშნო ჩემი ძალიან ახლო, თბილი, მეგობრული ურთიერთობები ბატონ ზვიად გამსახურდიასთან და ბატონ მერაბ კოსტავასთან და დიდი გულისტკივილით ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ, როგორც ჩანს, მათნაირი პოლიტიკური მოღვაწეების დრო ჯერჯერობით არ დამდგარა. ასევე მინდა ღრმა რწმენა გამოვთქვა იმის თაობაზე, რომ დადგება დრო, როცა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესია ზვიად გამსახურდიას წმინდანად შერაცხავს. მინდა ერთ საგულისხმო გარემოებას მივაპყრო თქვენი ყურადღება: ბატონ ზვიადს ხშირად ვსტუმრობდი და ჩემი ჩამოსვლებისას ხშირად უთქვამთ — პრეზიდენტი ლოცულობსო და ეს ლოცვა ხშირად ორ-სამ საათს გრძელდებოდა ხოლმე. სიმართლე გითხრათ, ეს გარემოება რამდენადმე მაკვირვებდა, იმიტომ, რომ ჩვენ, მუსულმანები, იშვიათად ვლოცულობთ ათ წუთზე მეტ ხანს. ესეც, ჩემი აზრით, მის ღვთისმოსაობაზე მეტყველებს...

უზომოდ მიყვარს თბილისი, ქართველებთან მთელი ცხოვრების ურთიერთობის მანძილზე ერთ ცუდ, არასასიამოვნო ამბავსაც კი ვერ გავიხსენებ. იქნებ ვინმემ არც დამიჯეროს, მაგრამ ცხოვრებაში ცუდი, უღირსი ქართველი არასოდეს შემხვედრია. უღირსნი, ცხადია, თქვენშიც არის, ისევე, როგორც ყველა სხვა ერში, მაგრამ პირადად მე ასეთს არასდროს გადავყრილვარ. როგორც ჩანს, ალაჰმა დაიფარა ჩემი სიყვარული ქართველების მიმართ. ჩვენი უფროსები კი ყოველთვის ამბობენ, ქართველები ინგუშების ძმები არიანო.

ახლა ინგუშეთში მიმდინარე პროცესების შესახებ: მათი დახასიათება ერთი სიტყვითაა შესაძლებელი — ეს ომია, ომი, რომელმაც ბოლო დროს განსაკუთრებით მძიმე ფორმა და ქვეყნის კატასტროფამდე მიმყვანი ტენდენციები შეიძინა. უბედურება ისაა, რომ ერთმანეთს სასტიკად დაუპირისპირდა ორი ახალგაზრდული ფრთა: ცალ მხარეს არიან ისინი, ვინც ძალოვან სტრუქტურებში მოღვაწეობენ, მეორე მხარეს კი ისინი, ვინც ტყის ძმებივით მთაში არიან გახიზნულნი. საშინელებაა გაუთავებელი სისხლის აღებები, როცა იარაღს ხელში იღებენ არა მარტო მამაკაცები და ყმაწვილკაცები, არამედ სრულიად ნორჩი ქალიშვილებიც კი. მოკლედ, ისე ცისმარე დღე არ გავა, 10, 20, ზოგჯერ 50 კაცი არ დახოცონ. 5-6 კაცის მკვლელობა დღისითმზისით, ქალაქისა თუ სოფლის ცენტრში, ჩვეული ამბავია და ხალხს თითქოს აღარც კი უკვირს.

ალბათ შემეკითხებით ყოველივე ამის გამომწვევ მიზეზზე. ჩემი აზრით, მიზეზი ის არის, რომ ვითარების დამშვიდება, წესრიგის დამყარება თავად ხელისუფლებას არ სურს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სიტუაციის დალაგება ერთ თვეშია შესაძლებელი. საამისოდ, ყველა მთაში გახიზნულ ახალგაზრდას უსაფრთხოების გარანტია უნდა მისცენ, ანუ ამნისტია გამოაცხადონ, მოიწვიონ უხუცესთა თავყრილობა, რომელიც თავის სიტყვას იტყვის, ოღონდ არა იმათი, ვისაც თავად ხელისუფალნი აირჩევენ, არამედ ხალხი დაასახელებს და, ვიმეორებ, ყველაფრის ერთ თვეში მოგვარება შეიძლება.

მას შემდეგ, რაც რუსები კავკასიაში შემოვიდნენ, ინგუშები სულ დაზარალებულნი არიან, ამიტომაც ჩვენ მუდამ ჩუმად ვიყავით, მაგრამ თავს არავინ გვანებებს, ახალგაზრდები კი, მოგეხსენებათ, ფიცხები არიან და უსამართლობასაც ძნელად ეგუებიან, თან არც არაფრის შიში არა აქვთ, რაც ჩემში უდიდეს გულისტკივილს იწვევს.

ხელისუფალნი მეც ეჭვით მიყურებენ, რადგან მუდამ სიმართლეს ვამბობდი და კვლავაც ვიტყვი, იმიტომ, რომ სხვაგვარად არ შემიძლია. რაც თავი მახსოვს, ხელისუფლება ჩემს ხალხს ებრძვის ისე, როგორც ეს 1992 წლის ინგუშეთის წინააღმდეგ რუსეთის ეგრეთ წოდებულ „მოკლე ომის“ დროს მოხდა, გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ ხალხის მიერ აღდგენილ სოფლებში რუსეთის ჯარი მთელი თავის ძალით ამოქმედდა, შედეგად კი იმ სოფლებიდან მხოლოდ ნამსხვრევებად ქცეული აგურებიღა დარჩა... და კიდევ ერთი რამ: რუსეთის ჯარის ყოველ ტანკში ერთი ოსი მაინც იჯდა არყის ბოთლით ხელში. მწარე სიმართლეა, მაგრამ ამის უთქმელობა არ იქნება...

რაც შეეხება იისა კოაზოის ლიტერატურულ მოღვაწეობას, როგორც თავად აღნიშნა, ინგუში ხალხის ისტორიის მიხედვით მან შვიდტომიანი ეპოპეა შექმნა საერთო სათაურით „ინგუშები“. გარდა ამისა, მას დაახლოებით ოცი გამოუცემელი წიგნი აქვს, ამჟამადაც ახალზე მუშაობს.

მივესალმებით თბილისის ახალ საპატიო მოქალაქეს, ხანგრძლივ სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

ინფორმაცია

## ავიაკომპანიების დავაში საგარეო უწყება ჩაერთო

**თბილისსა და თელ-ავივს შორის ფრენების განრიგის შეუთანხმებლობის პრობლემის მოგვარებაში ოფიციალური უწყებებიც ჩაერთნენ. როგორც ჟურნალისტებს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ნალბანდოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, საქმეში საგარეო უწყებებიცაა ჩართული.**

**— მხარეებს შორის ინტენსიური კონსულტაციები მიმდინარეობს. 27 ოქტომბერს, ან ხვალ საქართველოს შესაბამისი უწყებების დელეგაცია ისრაელში გაემგზავრება, რათა ფრენების განრიგთან დაკავშირებით რაიმე გამოსავალი ხუთშაბათამდე - შემდეგ ფრენამდე იქნას მოძებნილი, — განაცხადა ნალბანდოვმა.**

**რაც შეეხება კვირას დაგეგმილ, მაგრამ შეუსრულებელ რეისს, ნალბანდოვის განმარტებით, მგზავრები არ დაზარალებულან და ისინი ისრაელში მესამე ქვეყნის გავლით ჩაფრინდნენ.**

**შეგახსენებთ, რომ ქართული ავიაკომპანია „აირზენა“ და ებრაული ავიაკომპანია „არკია“ თბილისსა და თელ-ავივს შორის ფრენების განრიგზე ვერ თანხმდებიან, რის გამოც უკვე ერთი პირდაპირი რეისი ვერ შესრულდა.**

## სეპარატისტებს რუსეთმა ელჩები დაუნიშნა

**რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს ორ რეგიონში ელჩები დანიშნა. აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის ელჩად სემიონ გრიგორიევისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ფედერაციის ელჩად ელბრუს კარგიევის დანიშვნის ბრძანებას მედვედევმა ხელი უკვე მოაწერა.**

**— მინდა მომითხროთ თქვენს წინადადებებზე, იმის შესახებ, თუ როგორ აპირებთ მუშაობის წარმართვას. მინდა აღვნიშნო, რომ თქვენ თქვენი მოვალეობების შესრულებას საკმაოდ მძიმე დროს იწყებთ: ეს ახალგაზრდა ქვეყნებია, სადაც ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამეა გასაკეთებელი. სხვათა შორის საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისიდან გამომდინარე, სახელმწიფოების მშენებლობის თვალსაზრისითაც,— განაცხადა დიმიტრი მედვედევმა კრემლში ე.წ. ელჩებთან გამართული შეხვედრისას.**

## ოკუპანტებმა 16 ქართველი გაიტაცეს

**ოფიციალური თბილისი დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევიდან ქართველების გატაცების შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას ადასტურებს.**

**— აღნიშნულთან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტროს დავუკავშირდით, რომელმაც ქართველების გატაცების შესახებ ინფორმაცია დაადასტურა. შსს-ის ინფორმაციით, ქართველების გატაცება ქართული მხარის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან მოხდა და არა ოსი სეპარატისტების, როგორც მედია იუწყებოდა, არამედ რუსი ოკუპანტების მიერ, — განაცხადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ ალექსანდრე ნალბანდოვმა.**

**მისივე განმარტებით, შესაბამისი უწყებები გატაცებული ქართველების გასათავისუფლებად ყველაფერს აკეთებენ.**

**შეგახსნებთ, რომ დუშეთის რაიონის სოფელ გრემისხევში ჯერჯერობით უცნობი მიზეზის გამო საქართველოს 16 მოქალაქე გაიტაცეს და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე გადაიყვანეს.**

ჯი-ეიჩ-ენი

ოჯახური პორტრეტი

**შარშანდელი სამახსოვრო ნოემბრის ღამეს, როდესაც 200-ათასიანი მიტინგი ჩიკაგოში მიესალმებოდა ახლადარჩეულ აშშ-ს 44-ე პრეზიდენტს, ტრიბუნაზე ობამა ცოლთან და ქალიშვილებთან ერთად რომ იდგა, ბევრს ეჩვენებოდა იდეალური ამერიკული ოჯახის განსახიერებად.**

**„მე დღეს აქ არ ვიქნებოდი, — განაცხადა ბარაკმა, — მხარს რომ არ მიჭერდეს 16 წლის მანძილზე ჩემი საუკეთესო მეგობარი — ჩვენი ქვეყნის პირველი ლედი მიშელ ობამა“. ამ სიტყვებით ობამა გადაეხვია ცოლს და წასჩურჩულა „ მე შენ მიყვარხარ“.**

**თუმცა, თუკი დავუჯერებთ ახლახან გამოსულ წიგნს „ბარაკი და მიშელი: ამერიკული ოჯახის პორტრეტი“ — ცნობილმა ჟურნალისტმა კრისტოფერ ანდერსონმა რომ დაწერა (მას აშშ-ში ჭუჭყის მქექველად მიიჩნევენ), მაშინ „იდეალური ოჯახობის“ საბაზრო ფასადის მიღმა პრობლემები უხვად გამოჩნდება. რომელიღაც მომენტში ცოლ-ქმარი კინაღამ გაიყარა, მაშინ დღეს ამერიკას უეჭველად სხვა პრეზიდენტი ეყოლებოდა.**

# მიშელ ობამას ქმარი ზარმაც ბრიყვად მიაჩნდა

## აშშ-ში გამოვიდა სკანდალური მკვლევარის კრისტოფერ ანდერსონის წიგნი, რომელშიც მოთხრობილია პრეზიდენტის ოჯახის პრობლემებზე



### ბარაკი იყო „არასრულფასოვანი შავი“

**ამ ზაფხულს მიშელმა და ბარაკმა აღნიშნეს გაცნობის 20 წლისთავი.** ისინი შეხვდნენ 1989 წლის ივლისში, როდესაც ობამა ჰარვარდის იურიდიული ფაკულტეტის პირველი კურსის დამთავრების შემდეგ საზაფხულო პრაქტიკაზე ჩავიდა ჩიკაგოში, პრესტიჟულ საადვოკატო ფირმაში Sidley Austion და დამრიგებლად დაუნიშნეს გამოცდილი თანამშრომელი ქალი მიშელ რობინსონი. ჩიკაგოელი მეწყალსადენეს პატივმოყვარე ქალიშვილი, იმ დროს უკვე დამთავრებული რომ ჰქონდა პრისტონიც და ჰარვარდიც, არც თუ დიდი სურვილით შეუდგა სტუდენტი-პირველკურსელის ჭკუაზე მოყვანას.

ობამამ ის პირველი ნახვისთანავე შეიყვარა: მიშელმა კი თავიდან თანაგრძნობით არ უპასუხა და თაყვანისმცემელი თავიდან მოიშორა განცხადებით, რომ მასთან პაემანი არ აინტერესებს.

მაგრამ ბარაკმა შეტევა გააგრძელა ცდუნების ხელოვნების ყველა წესის დაცვით — სატრფო წერილებით და ყვავილებით აავსო, დღეში უამრავჯერ ურეკავდა, ბოლოს და ბოლოს ქალი დათანხმდა მოქალადე პრაქტიკანტთან შეხვედრაზე. პირველი პაემენი მთელ დღეს გაგრძელდა და მისი ცხოვრება შეცვალა.

**პიკანტური წვრილმანი:** ობამას დედა, როგორც ცნობილია, თეთრი ქალი იყო. მიშელი კი გაიზარდა ოჯახში, კანის შავი ფერით რომ ამაყობდა. ასე რომ, ქალიშვილი დიდხანს ვერ წყვეტდა ოჯახისთვის იმის გამხელას, რომ მისი ბიჭი „სრულყოფილი შავი არ იყო“.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ობამას ტაქტიკამ გაამართლა. 1992 წლის 3 ოქტომბერს ისინი ცოლ-ქმარი გახდნენ.

### ხვრინვა ღამით და სუნი პირიდან

**ოთხი წლის შემდეგ ბარაკ ობამა სენატორი გახდა მშობლიურ ილინოისში.** როგორც პოლიტიკოსი, ის დიდ იმედებს იძლეოდა, მაგრამ როგორც ქმარი, მიშელის აზრით, თავიდან უვარგისი გამოდგა.

მომავალ პირველ ლედის ქმარში ყველაფერი აღიზიანებდა. მას არ მოსწონდა, რომ ის მუდამ მთელ სახლში მიმოფანტავდა ხოლმე წინდებსა და ქვედა თეთრეულს, აბაზანაში იატაკზე სტოვებდა სველ პირსახოცსა და სახლში საერთოდ არაფერს აკეთებდა.

ბარაკის ჩვევას — სიგარეტს სიგარეტზე რომ უკიდებდა, მიშელი მოთმინებიდან გამოჰყავდა. ის ბუზღუნებდა, რომ სახლი თამბაქოს სუნით გაიჟღენთა და ყველა ხალიჩა დამწვარია ფერფლით.

როგორც ანდერსონი წერს, ღამით ბარაკი საშინელი ხვრინვით ძილის საშუალებას არ აძლევდა მიშელს (ის კი ადრე უნდა ამდგარიყო იურიდიულ ფირმაში სამუშაოდ წასასვლელად), თანაც ობამას აწუხებდა ჰალიტოზი, ანუ უსიამოვნო სუნი პირიდან.

მიშელი მოდას მისდევდა და დაუნდობლად აგინებდა ქმარს უგემოვნობისთვის, შეუხედავ კოსტიუმებს ჯინსებს რომ ანაცვლებდა, ის კი ცოლს ასე იგერიებდა: „რას მომდექი ყოველგვარი სისულელით, როცა მე მსოფლიოს შეცვლას ვცდილობ“.

წიგნის ავტორი მიშელის მაშინდელ ნაცნობებზე დაყრდნობით ამტკიცებს, რომ ის ქმარს „ზარმაც ბრიყვს“ უწოდებდა.

### განქორწინების ზღვარზე

**1997 წლის ნოემბერში მიშელი დაორსულდა. მომდევნო ივლისში კი გოგონა გააჩინა. მაგრამ მალიას გაჩენამ კი არ დააახლოვა მეუღლეები, არამედ უფრო მეტად დააშორა.**

მიშელი სულ უფრო ხშირად ამბობდა, რომ პოლიტიკით დაკავება დროის უმიზნო ხარჯვაა. მას უნდოდა, რომ ქმარი გამხდარიყო რომელიმე დიდი იურიდიული ფირმის პარტნიორი და დიდი ფული გამოემუშავებინა. „ჩვენ ღარიბები ვართ, როგორც ეკლესიის თაგვები“, — ამტკიცებდა ქალბატონი ობამა და თავის თავს უწოდებდა „ძალზე უბედურ და მარტოხელა თაგვს“.

თუმცა, ბარაკსაც ასევე ჰქონდა ბევრი პრეტენზია ცოლისადმი. სითბოს ნაცვლად ის მისგან ღებულობდა დავალებების ჩამონათვალს და წერილებს: „დაალაგე შენს შემდეგ. შენ ისევ დატოვე იატაკზე ქვედა საცვლები“. ობამა ცოლის საჩივრებს უწოდებდა „უსამართლოს“ და „მოკლემხედველურს“. „ის მე მკლავს თავისი განუწყვეტელი კრიტიკით“, — შესჩიოდა მეგობარს.

2000 წლისთვის მიშელი იყო სულიერი და ფიზიკური ძალების ზღვარზე. ოჯახური ცხოვრების მეცხრე წელს ის დარწმუნებული იყო, რომ გაყრა გარდაუვალია. ოჯახი გადაარჩინა მეორე ქალიშვილმა — ნატაშამ (ოჯახში მას საშას ეძახიანძ. ის 2001 წლის 11 ივნისს დაიბადა.

### კლასიკოსის ფორმულით

**სამი თვის ასაკში საშა დაავადდა მენინგიტით, სამი დღე-ღამის განმავლობაში ბარაკი და მიშელი მორიგეობით თავს ადგნენ ავადმყოფ გოგონას. „ჩემი სამყარო წერტილის ზომამდე შევიწროვდა, — აღიარებდა ობამა, — მე არავინ და არაფერი მაინტერესებდა ამ ოთახის ოთხი კედლის მიღმა — არც სამუშაო, არც გეგმები, არც ჩემი მომავალი“.**

სასოწარკვეთილმა მიშელმა უთხრა ქმარს: „ჩვენ როგორ უნდა ვიჩხუბოთ ასეთ წვრილმანებზე?“ და მალე დათანხმდა, რომ მას პოლიტიკური საქმიანობა უნდა გაეგრძელებინა.

2004 წლის ივლისში ობამა გამოვიდა პროგრამული მოხსენებით ბოსტონში — დემოკრატიული პარტიის კონფერენციაზე და სახელი გაითქვა მთელს ქვეყანაში. დიდებასთან ერთად გამოჩნდნენ თაყვანისმცემელი ქალებიც, რომლებიც ეხვეოდნენ მას მიტინგებზე, ეპატიჟებოდნენ სტუმრად და ჯიბეებში სტენიდნენ ბარათებს თავიანთი ტელეფონების ნომრებით.

ბარაკმა გადალახა ეს ცდუნებანი. 2006 წელს მეუღლეებმა მოილაპარაკეს, რომ ის იბრძოლებდა პრეზიდენტის პოსტისთვის.

„მიშელი — ჩემი მთავარი მრჩეველი და თანაშემწეა, — ამბობს ახლა ბარაკ ობამა, — მე არც ერთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას არ ვღებულობ, თუ მას არ ვკითხავ რჩევას“. და, ბედის ირონიით, პრეზიდენტი რომ გახდა, ოჯახში მეტ დროს ატარებს.

ერთი სიტყვით, ყველაფერი ლევ ტოლსტოის კლასიკური ფორმულით მიდის, თავისებურად უბედური ოჯახი გარდაიქმნება სამაგალითო-საჩვენებლად — ბედნიერად.

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

**ოქტომბერი 2009 წ.**

დედამიწის ზურგზე



**აიათოლა ჰამენეი გამოდის თეირანის ვაშინგტონთან პირდაპირი მოლაპარაკების წინააღმდეგ**

**როგორც ირანის პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მოჰამედ რეზა ბახონარმა განაცხადა, ამჟამად ეროვნული უშიშროების უმაღლესი საბჭო და სულიერი ლიდერი მიიჩნევენ, რომ თეირანის საგარეო პოლიტიკა „ემყარება ამერიკის შეერთებულ შტატებთან მოლაპარაკების შეუძლებლობას“.**

* * *

**ავღანეთში ერთმანეთს ორი შვეულმფრენი შეეჯახა: ოთხი დაიღუპა, ორი დაჭრილია**

**შვეულმფრენები ერთმანეთს შეეჯახნენ ჰაერში ავღანეთის სამხრეთში. როგორც ისაფის წარმომადგენელი აღნიშნავს, მოწინააღმდეგის მხრიდან გასროლები არ ყოფილა. ინციდენტის მიზეზებს იკვლევენ: ასევე ორშაბათს, დილით დაიმსხვრა კიდევ ერთი ამერიკული შვეულმფრენი ავღანეთის დასავლეთში. მონაცემები მსხვერპლის შესახებ ზუსტდება.**

* * *

**საბერძნეთს თავს დაატყდა უამინდობა: ერთი კაცი დაიღუპა, მეორე დაიკარგა**



**ქვეყნის მრავალ რაიონში ძლიერი წვიმების შედეგად წარმოიშვა წყალდიდობა და მეწყერები. ორი ავტომობილიდან, რომლებიც წყლის ძლიერმა ნაკადმა გაიტაცა, 6 კაცის გადარჩენა მოხერხდა. ათენში სახანძრო რაზმებს გამოუძახეს დაახლოებით 50-ჯერ წყლის ამოქაჩვის მიზნით სარდაფებიდან და სხვა სათავსებიდან.**

* * *

**ესპანეთმა შეწყვიტა ყირგიზეთში მანასის ბაზის გამოყენება ავღანეთში ჯარების ტრანზიტისთვის**

**დაახლოებით 50 ესპანელი სამხედრო მოსამსახურე და ორი სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი „ჰერკულესი“ გადავიდნენ ჰერატში (ავღანეთი). მოლაპარაკებამ ორ ქვეყანას შორის, რომელიც მიმდინარეობს ივლისიდან, შედეგები არ გამოიღო. ესპანეთი სწავლობს ტრანზიტის ალტერნატიულ ვარიანტებს დუშანბეს (ტაჯიკეთი) ან კარაჩის (პაკისტანი) გავლით.**

* * *

**ლატვიის ქალაქ მაზსალაცის მახლობლად ჩამოვარდა „მეტეორიტი“**

**ხელისუფლება ჯერ კიდევ „საბოლოოდ არ არის დარწმუნებული, რომ ეს მეტეორიტია, ვინაიდან, თვითმხილველთა სიტყვებით, რაღაც ჩამოვარდა ციდან და გაჩნდა ხანძარი“. მიუხედავად ამისა, მაშველებმა და პოლიციამ გააკეთეს წრე კრატერის მახლობლად, რომლის სიგანე 20 მეტრი და სიღრმე 5 მეტრია. სპეციალისტებმა ერთ დღეში უნდა გაარკვიონ, არის თუ არა იქ რადიაცია.**



რას წერენ ჩვენზე

# თბილისელ მფარველთა შემწეობით

**დიახ, რას წერენ და კარგს არაფერს... აგერ 14 ოქტომბრის „კომსომოლსკაია პრავდამ“ (მოგეხსენებათ, თბილისში რამდენიმე დღის დაგვიანებით შემოდის რუსეთული პრესა; თუმცა, კიდევ კარგი, საერთოდ რომ შემოდის...) პუბლიკაცია გააშანშალა რუბრიკით „საფრთხეები“ და სათაურით „საქართველო ტერორისტებს აგზავნის ჩეჩნეთში“; რავარია!..**

რაო და — მდგომარეობა ჩრდილოეთ კავკასიაში არ ცივდებაო; აქ გრძელდება საერთაშორისო ტერორისტების ემისართა „მოვლინება“, თანაც არცთუ ჩვენი უახლოესი მეზობლების (გამოიცანით, ვის გულისხმობენ!ძ დაუხმარებლადო.

სიტყვას რუსეთის უფს-ის (უშიშროების ფედერალური სამსახური!ძ დირექტორს ალექსანდრ ბორტნიკოვს აძლევენ:

— ბოევიკებთან აღმოჩენილი აუდიოანგარიშები იმაზე მეტყველებს, რომ კონტაქტებს „ალ-კაიდის“ ემისრების გარდა საქართველოს სპეცსამსახურებთან ამყარებენ; ქართული მხარის მონაწილეობითაა ორგანიზებული ტერორისტების მომზადება და ჩეჩნეთის ტერიტორიაზე გადასროლა.

ამასთან ერთად, ბანდიტები თავიანთი თბილისელი მფარველების თანადგომით ცდილობენ იარაღის, ასაფეთქურასა და ფულის შემოტანას დაღესტანში ნავთობსადენსა და გაზსადენზე ტერაქტებისათვის.

აი, რას ამბობს ამოდენა თანამდებობის პირი საჯაროდ! არადა, ჩვენი პარლამენტის სპიკერს რომ ჰკითხო, სისულელეა ეს ყველაფერიო. მე რა ვქნა, მე უბედურმა რიგითმა ქართველმა კაცმა, რომელს დავუჯერო, ჩოგბურთის მაყურებელივით ვღრიცო კისერი ხან იქით (მოსკოვისკენძ ხან აქეთ? რომელი ტყუის, ბორტნიკოვი თუ ბაქრაძე? იმ ქვეყანაში, სადაც პრეზიდენტი (სააკაშვილიძ ამდენს ცრუობს, არ შეიძლება სპიკერი (ბაქრაძეძ ტყუოდეს?..

ფრთხილად, ძმანო და შვილნო! იმ ჩრდილოკავკასიელთა გულისთვის, აფხაზებისა და ოსებისთვის ასე რომ ირჯებოდნენ ქართველების წინააღმდეგ (და ახლაც ირჯებიანძ და, რაც ფაქტობრივად ასეა, რუსეთის მტრობით, ემანდ ბირთვული დარტყმა არ „დავირტყათ“ დიდი მეზობლისგან... გაუჭირდება, თუ რა?..

**ლუკა გორგაძე**

◎ გამოფენა

# ერის მთლიანობის დაბრუნებული განცდა...

**„ქარვასლის“ საგამოფენო დარბაზში პოეტ-აკადემიკოსის ირაკლი აბაშიძის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ამსახველი ფოტოებისა და მისი ხელნაწერების გამოფენა გაიხსნა, რომელიც 2 ნოემბრამდე გასტანს. ირაკლი აბაშიძის ოჯახური არქივიდან 110 საუკეთესო ფოტო დამთვალიერებელს ელის. 23 ნოემბერს ირაკლი აბაშიძის დაბადებიდან 100 წლის იუბილეა და ეს პირველი საიუბილეო ღონისძიებაა, რომელშიც მონაწილეობდა კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქართული ენციკლოპედიის ირაკლი აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია.**

— ეს გამოფენა მხოლოდ ირაკლი აბაშიძეს როდი ეძღვნება. ესაა მე-20 საუკუნის მატიანე. ძალიან მინდა ახალგაზრდებმა დაათვალიერონ, — გვითხრა პოეტის შვილმა, ქალბატონმა ირინა აბაშიძემ.

ფოტოებზე ირაკლი აბაშიძე წარმოდგენილია ქართველ და უცხოელ მწერლებთან და საზოგადო მოღვაწეებთან ერთად. აქ არიან: მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, გერონტი ქიქოძე, პაოლო იაშვილი, სრულიად ახალგაზრდა მირზა გელოვანი... აგერ გალაკტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე, სიმონ ჩიქოვანი, ნოდარ დუმბაძე...

უნიკალურია სურათი, რომელზეც ირაკლი აბაშიძე ლადო გალიაურთან ერთადაა გადაღებული. ლადო გალიაური თავის დროზე გადაასახლეს და ამ მხრივ ეს ფოტო ფასდაუდებელია.

ისტორიული ფოტოა „გიორგი სააკაძის“ ფილმის ამსახველი ეპიზოდი. მიხეილ ჭიაურელი, აკაკი ხორავა და ირაკლი აბაშიძე ერთად არიან გადაღებული...

„ქარვასლაში“ გამოიფინა, ასევე, ირაკლი აბაშიძის ოჯახში დაცული საარქივო მასალა — წერილები. საყურადღებოა გრიგოლ რობაქიძის, გერონტი ქიქოძის, კონსტანტინე გამსახურდიას, აკაკი შანიძის, შალვა ნუცუბიძის წერილები. გრიგოლ რობაქიძე აქებს ლექსს „ხმა კატამონთან“, კონსტანტინე გამსახურდია კი წერს, რომ პალესტინური ლექსების ციკლში მრავალი მარგალიტია, მაგრამ გულს ყველაზე მეტად მოხვდა „დიდი ოპტიმიზმის სხივით გამტფარი „ხმა კატამონთან“.

გამოირჩევა კალისტრატე და ნინო სალიების საქმიანი წერილები. ისინი ჩართული იყვნენ 1966 წელს რუსთაველის იუბილეს სამზადისში და საფრანგეთიდან იტყობინებიან, თუ რა და როგორ გააკეთეს. გამოფენაზე ხელოვნებისა და კულტურის მოღვაწეებთან ერთად, იმყოფებოდნენ პოლიტიკოსები, პარლამენტარები, მერიისა და კულტურის სამინისტროს წარმომადგენლები.

**ლიანა ანთელავა, სამხატვრო აკადემიის პროფესორი.**

— დღეს „ქარვასლაში“ იშვიათი წარმომადგენლობითი შეკრებაა, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ ირაკლი აბაშიძის დამსახურებაა... დიდი მადლობა ქალბატონ ირინა აბაშიძეს, რომ ასეთი ზეიმი გაგვიმართა. მსგავს თავყრილობებში 70-ინი წლებიდან ვმონაწილეობ, მაგრამ ბოლო 10 წლის განმავლობაში ასეთი განცდა აღარ მქონია. დღეს ვფიქრობ, რომ ჩემი სტუდენტობის ეპოქა გაცოცხლდა და იმედი მომეცა, ერის მთლიანობის განცდა დამიბრუნდა.



**ლაშა თაგუკაშვილი, დრამატურგი.**

— ეს დღე ჩემთვის მნიშვნელოვანია, რადგან ირაკლი აბაშიძის პოეზიის დიდი თაყვანისმცემელი ვარ. თანაც, მის სახლში გავიზარდე, როგორც ზურაბი — ჩემს სახლში. ჩვენს ოჯახებს ათეულობით უბედნიერესი წელი გვაკავშირებს ერთმანეთთან. ამ ფოტოებს რომ ვუყურებ, ირაკლი აბაშიძის მონაყოლიც მახსენდება, გული მწყდება, რომ მაშინ კომუნიკაციები ისე არ იყო განვითარებული, დიქტოფონზე ჩაგვეწერა, მთელი საღამო როგორ იხსენებდა გალაკტიონს.

არაჩვეულებრივი პიროვნება იყო. დიდებულია მისი მოღვაწეობა რუსთაველის ნაკვალევზე. მაგრამ განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ირაკლი აბაშიძის წყალობით, 1966 წელს ქართველოლოგიური სკოლებით მთელი ევროპა დაიხუნძლა. კალიფორნიაში კი 5 ქართველოლოგიური სკოლა შეიქმნა. 1966 წელს, რუსთაველის დღეებზე მთელი მსოფლიო ჩამოვიდა, რომელთაც რუკაზეც კი არ იცოდნენ, სად მდებარეობდა საქართველო.

**ნოდარ ტაბიძე, პროფესორი.**

— ბატონი ირაკლი კომუნიკაბელურზე კომუნიკაბელური პიროვნება იყო. შეეძლო ზოგჯერ იუმორით ისეთი სკაბრეზული ამბები მოეთხრო, გაოცებული დარჩენილიყავი. როდესაც გალაკტიონს ვიგონებდით, ისეთ რამეებს ყვებოდა, ნაწილობრივ ანდა, საერთოდ, არ ვიცოდი. ყოველთვის მისი დამოკიდებულება ბუმბერაზი გალაკტიონისადმი მუხლის მოყრა იყო. მახსოვს, საგანგებო წიგნიც უძღვნა — 20 ლექსი გალაკტიონს, რაც ვფიქრობ, გალაკტიონისადმი მიძღვნილ ლექსებს შორის ყველაზე საუკეთესოა.

ბატონი ირაკლი გამოირჩეოდა ადამიანური თვისებებით, აღტაცებული ვარ ასეთი საზოგადოების თავმოყრით, რომელიც აღიარებს ბატონი ირაკლის დიდ მოქალაქეობრივ საქმიანობას და მის წინაშე ქედსაც იხრის. უნდა ვინატროთ, რაც შეიძლება ბევრი გვყავდეს ასეთი საზოგადო მოვაწე.

**ბატონი ნოდარის მსგავსად, ასე მრავალი ფიქრობდა, შეკრებილთ ირაკლი აბაშიძის ღვაწლიც გაიხსენეს. პოეტი-აკადემიკოსი მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „მნათობის“ რედაქტორი, ქართული ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი იყო. განთქმულია მისი ლირიკული ციკლები, საბავშვო ლექსები და ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები. მან პუშკინის, მაიაკოვსკის და სხვათა ნაწარმოებებიც თარგმნა.**

**1966 წელს ირაკლი აბაშიძეს რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა კრებულისთვის „პალესტინა, პალესტინა“, რომელშიც რუსთაველი და მისი სულიერი სამყარო გააცოცხლა.**

**ირინა აბაშიძე ფიქრობს, რომ კარგი იქნება, თუ ეს ფოტოები ალბომად გამოიცემა. იგი აპირებს ფოტოების რაღაც ნაწილის ხონის სახლ-მუზეუმისთვის გადაცემას.**

**თამარ შაიშმელაშვილი.**



**სურათზე: აკადემიკოსები: გიორგი წერეთელი, აკაკი შანიძე და ირაკლი აბაშიძე შოთა რუსთაველის ფრესკასთან, 1960 წ.**

◎ პატივგება

# ბრინჯაოში გაცოცხლებული სოფიკო

**დედაქალაქი, დიდი მსახიობის, თბილისზე შეყვარებული ქალბატონის სოფიკო ჭიაურელის ქანდაკება, რომ არ ამშვენებდეს, თავის ხიბლს დაკარგავდა. სოფიკოს აღმერთებდნენ საქართველოში, სოფიკო უყვარდათ თავისი სამშობლოს საზღვრებს გარეთ, სოფიკოს თაყვანს სცემდა კინოსა და თეატრის მოყვარული მრავალმილიონიანი არმია.**

ასრულდა მისი ნიჭისა და შემოქმედების დამფასებელთა ოცნება და წლევანდელი „თბილისობის“ დღესასწაულის ბოლო დღეს ძველ თბილისში შემობრძანდა ბრინჯაოში გაცოცხლებული დიდებული ქალბატონი თავისი უბადლო გმირების ფუფალას, მრეცხავი ვარდოსა და კინტოს... თანხლებით. შემობრძანდა და შარდენისა და ლესელიძის ქუჩების კუთხეში, მშვენიერ სკვერში დაიდო ბინა. დიდი მსახიობი მოქანდაკე ლევან ვარდოსანიძემ უკვდავყო.



უამრავი ხალხი შეიკრიბა ძეგლის გახსნის ცერემონიალზე: პოლიტიკოსები, მწერლები, მსახიობები, რეჟისორები, სოფიკოს ოჯახის წევრები და მისი ნიჭის თაყვანისმცემელი თბილისელები.

სოფიკოს შემოქმედებაზე ისაუბრეს მისმა კოლეგებმა და მეგობრებმა კახი კავსაძემ, გივი ბერიკაშვილმა, ვაჟიშვილმა ნიკუშა შენგელაიამ, ქალაქის მერმა გიგი უგულავამ, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაალ სამადაშვილმა.

იყო ცრემლი, ღიმილი, მოგონებები... ამიერიდან სოფიკო ჭიაურელი ამ ლამაზ სკვერში შეხვდება თავის თაყვანისმცემლებს.

**ელგუჯა ნადარეიშვილი.**

**ავტორის ფოტო.**









◎ დავა

# როცა მინისტრები ცრუობენ, მოსამართლე კი ბრმაა

**როდესაც სპორტის აკადემიიდან პროფესორ-მასწავლებლები გამოყარეს და შენობა ვითომდა დალუქეს, იქ დარჩა დიდძალი დოკუმენტაცია, ქონება. ამ „დალუქულ“ შენობაში ბევრი რამ განადგურდა და გაიძარცვა.**

ორწლიან დავას შედეგი არ მოჰყოლია. ყველაფერი ძველებურად დარჩა, აცხადებს ყოფილი სპორტის აკადემიის იურიდიული სამსახურის უფროსი, დღეს კი აკადემიის საორგანიზაციო კომიტეტის წევრი **იმედა ხუციშვილი.** ის, რომ აკადემიისა და მიმდებარე ტერიტორიის გაყიდვა უნდოდათ, იქიდანაც ჩანს, რომ მისი მუშაობის შეჩერების შემდეგ რამდენიმე დღეში შენობა და მიმდებარე ტერიტორია აუქციონზე გამოიტანეს.

სპორტის აკადემიის საკითხი, აცხადებს ხუციშვილი ოფიციალურად არც კულტურის სამინისტროში (რომლის დაქვემდებარებაში შედიოდაძ და არც მთავრობის სხდომაზე არ განხილულა.

პედაგოგებს აქვთ ინფორმაცია, სპორტის აკადემიის ე. წ. რეორგანიზაციის საკითხი (ანუ დადგენილებაძ 2007 წლის ივლისის ბოლოს გოკა გაბაშვილის, კახა ლომაიას, გიგა ბოკერიას, გიგი თევზაძის შეხვედრაზე გადაწყდა. საბოლოოდ ოქმი ჩიორა თაქთაქიშვილმა დაწერა.

„კონსულტანტები“ ისე ჩქარობდნენ და დარწმუნებულები იყვნენ თავიანთ ხელშეუვალობაში, რომ დაავიწყდათ ე. წ. დადგენილებაზე ბეჭდის დასმა, რეგისტრაციაში გატარება. გამოდის, რომ ეს არის ფარატინა ქაღალდი — ასკვნის იმედა ხუციშვილი.

სასამართლოზე, რომდესაც აკადემიის მხარემ მოითხოვა დადგენილების წარდგენა, მოსამართლემ მტკიცებულებად მას თაბახის ფურცელი წარუდგინა.

პროფესორ-მასწავლებლები ამ დარღვევის გარდა იმაშიც სდებენ სასამართლოს ბრალს, რომ ჩატარებული სხდომების ოქმები მთლიანად გაყალბებულია. ყველაფერი ისეა ჩაწერილი, რომ სპორტის აკადემიის მხარე გამტყუნდეს. დავა შენობასა და ჯერ კიდევ გადარჩენილ ქონებაზე გრძელდება.

**ზაზა ბილიხოძე**

**ყოჩაღ, ბიჭებო!**

# არის ასეთი მწვრთნელი

**ვინა თქვა, ნიჭიერი ახალგაზრდა მწვრთნელები არა გვყავსო.**

**გიორგი დევდარიანი საკუთარი ტაქტიკური განსწავლულობითა და პრინციპულობით ჯერ კიდევ მაშინ გამოირჩეოდა კოლეგათაგან, როცა ეროვნული ჩემპიონატის თვითმყოფად ბინა-**



**დარს „თბილისს“ თავკაცობდა.**

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა. ამ პერიოდში „ცქიფო“ ნორჩებსაც აოსტატებდა და თვითონაც იმდიდრებდა გამოცდილებას.

და აი, ბედის ახალი გამოწვევა — მას ქვეყნის 17-წლამდელთა ნაკრების დამრიგებლობა ანდეს, რომელსაც საქართველოს სპორტული ღირსება შოტლანდიაში, თანატოლთა შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში უნდა დაეცვა.

სწორმა სელექციამ და თავდაუზოგავმა ვარჯიშებმა თანამემამულეთა ქრონიკული ჩავარდნების ფონზე ჭაბუკ „ჯვაროსნებს“ ასე ნანატრი წარმატება მოუტანა — გუნდმა ელიტ-რაუნდის საგზური მოიპოვა.

უიღბლო სტარტის შემდეგ (0:2 პორტუგალიასთან) ბიჭებს წაფორთხილების უფლება აღარ ჰქონდათ — აუცილებელი იყო ორივე დარჩენილი მატჩის მოგება. მათ შესაშური ფსიქოლოგიური სიმტკიცე გამოავლინეს, ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხეს მასპინძლები — 2:1 და კვიპროსელები — 4:2 და დიდებულად გაართვეს თავი ურთულეს ამოცანას.

განსაკუთრებით აღსანიშნავია კუნძულელებთან ორჯერ მოგებული შეხვედრა: 2:0-ის შემდეგ (გაგნიძე, სხირტლაძე) მეტოქემ ანგარიში გაათანაბრა — 2:2 და სწორედ ამის შემდეგ შეასრულა „ბარსელონას“ ვუნდერკინდმა ჭანტურიამ მხსნელი „დუბლი“ — 4:2. ისიც უნდა ითქვას, რომ მეხუთე წუთზე, როცა ანგარიში 0:0 იყო, ჩვენებურთა მეკარე ლეგაშვილმა პენალტი მოიგერია.

დავძენთ, რომ ელიტ-რაუნდი გაისად მარტში გაიმართება.

**ფეხბურთი**

# აქეთურ-იქითური



**საქართველოს XXI ეროვნული ჩემპიონატის XII ტური.** „გაგრა“ – „ზესტაფონი“ 0:1, „ცხინვალი“ – „დინამო“ 1:1, „სამტრედია“ – „ოლიმპი“ 0:4, „ლოკომოტივი“ – „ბაია“ 0:0, „სიონი“ – „ვიტ ჯორჯია“ 0:1.

„ზესტაფონი“ – 28, „ოლიმპი“ – 27, „ვიტ ჯორჯია“ – 25, „დინამო“ – 19, „ცხინვალი“ – 18, „სიონი“ – 14, „სამტრედია“ – 13, „გაგრა“ – 9, „ბაია“ – 8, „ლოკომოტივი“ – 3 ქულა.

**შემდეგი ტური:** „ვიტ ჯორჯია“ – „დინამო“, „ზესტაფონი“ – „სიონი“, „ბაია“ – „სამტრედია“, „ლოკომოტივი“ – „ცხინვალი“ (30 ოქტომბერი), „ოლიმპი“ – „გაგრა“ (31 ოქტომბერი).

* * *

**იტალია.** „ინტერი“ – „კატანია“ 2:1, „სიენა“ – „იუვენტუსი“ 0:1, „კიევო“ – „მილანი“ 1:2.

**ესპანეთი.** „ბარსელონა“ – „სარაგოსა“ 6:1, „ხიხონი“ – „რეალი“ 0:0, „ალმერია“ – „ვალენსია“ 0:3.

**ინგლისი.** „ლივერპული“ – „მანჩესტერი“ 2:0, „ვესტ ჰემი“ – „არსენალი“ 2:2, „ჩელსი“ – „ბლექბერნი“ 5:0.

**გერმანია.** „ლევერკუზენი“ – „ბორუსია“ 1:1, „ბაიერნი“ – „აინტრახტი“ 2:1, „შალკე“ – „ჰამბურგი“ 3:3.

**სიახლე**

# ლიმიტი უცხოელი ფეხბურთელებისთვის



**როგორც ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა განაცხადა, მზად არიან, 2012 წლიდან დაიწყონ იმ წესის ამოქმედება, რომლის თანახმადაც იმ უცხოელი ფეხბურთელების რიცხვი, მინდორზე ერთდროულად რომ გამოდიან ერთი გუნდის შემადგენლობაში, შეიზღუდება.** იგეგმება, რომ სამი წლის შემდეგ მათი რიცხვი 8-მდე შემცირდება, შემდეგ თანდათანობით — ხუთამდე. თუმცა, პრეზიდენტმა ისიც თქვა, რომ უწინარეს ყოვლისა საჭირო გახდება მთელი რიგი იურიდიული სირთულეების მოგვარება, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა კეთილი წამოწყება, შესაძლოა, არარაობად იქცეს, თუკი ფეხბურთელები დაიწყებენ ევროპულ სასამართლოში ჩივილს.

ბლატერის თქმით, ფიფას ინიციატივა ფორმულის „6+5“ გამოყენებაზე შინაური და უცხოელი მოთამაშეების მიმართ მხარი დაუჭირეს სხვა სპორტულმა ასოციაციებმა — კალათბურთის, ხელბურთისა და ჰოკეის.

**ჭადრაკი**

# ოთხ-ოთხი მოგებით ლიდერობენ

**სერბულ ნოვი სადში გრძელდება მოჭადრაკე ქალ-ვაჟთა ევროპის გუნდური ჩემპიონატი, რომელშიც შესანიშნავად ასპარეზობენ ქართველი დიდოსტატები. ორივე ნაკრებმა 4-4 შეხვედრა მოიგო და გათამაშების ცხრილის სათავეში არიან.**

**ქალებმა** მე-3 ტურში გერმანელებს სძლიეს 3,5:0,5 (ელიზაბეტ პეტცი — ლელა ჯავახიშვილი 0:1, ქეთევან კახიანი — სოფიკო ხუხაშვილი 0:1, მარტა მიხნა — ნინო ხურციძე — 0,5:0,5, მარია შონი — ბელა ხოტენაშვილი 0:1), მე-4 ტურში კი სომხები დაამარცხეს 2,5:1,5 (ნანა ძაგნიძე — ელინა დანიელიანი 1:0, ბელა ხოტენაშვილი — სირანუშ ანდრიასიანი 0:1, ნინო ხურციძე — ლილით გაგოიანი 1:0, სოფიკო ხუხაშვილი — ლილით მკრტიჩიანი 0,5:0,5).

**ვაჟებმა** მე-3 ტურში ტურნირის ფავორიტ უნგრეთს დააყრევინეს ფარ-ხმალი 2,5:1,5 (ბაადურ ჯობავა — ზოლტან ალმაში 1:0, მიხეილ მჭედლიშვილის და ფერენც ბერკეშის, ლევან ფანცულაიას და შაბა ბალოგის, მერაბ გაგუნაშვილისა და ზოლტან გიმესის პარტიები ყაიმით დამთავრდა). მე-4 ტურში საქართველოს ნაკრებმა სერბეთის პირველ გუნდს 3:1 აჯობა (თორნიკე სანიკიძემ და მერაბ გაგუნაშვილმა მეტოქეები დაამარცხეს, ხოლო ჯობავა და მჭედლიშვილი მოწინააღმდეგეს ყაიმზე შეუთანხმდნენ).



**ჩემპიონატის დამთავრებამდე 5 ტური დარჩა.**

**რაგბი**



# პირველი ბარიერი გადალახეს

**პორტუგალიის ქალაქ კოიმბრაში 19-წლამდელ მორაგბეთა ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრებმა გერმანიის გუნდი დაამარცხა 34:3 და ნახევარფინალში პოლონეთის მძლეველ (28:8) რუსეთს დაუპირისპირდება. ეს შეხვედრა ხვალ გაიმართება.**

**ათლეტიზმი**

# საქართველოს სახელით

**ძალისმიერ სამჭიდში ქართველი სპორტსმენები ნებისმიერი შეჯიბრებიდან მედლებითა და თასებით დახუნძლული ბრუნდებოდნენ.** დარწმუნებული ვართ, წლეულსაც ასე იქნებოდა, მაგრამ უსახსრობის გამო მათ ატლანტიკ-სიტიში მსოფლიოს პირად ჩემპიონატზე გამგზავრება ვერ შეძლეს. ერთადერთი, ვინც ტურნირზე საკუთარი თანხით წასვლა მოახერხა, გახლდათ საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი ზურაბ ჭავჭანიძე. მან ღია პირველობაშიც იასპარეზა და ვეტერანებშიც. წოლჭიმში 150-კილოგრამიანი შტანგა ორჯერ დაიმორჩილა, რითაც ვეტერანებში პირველი იყო, ხოლო ღია პირველობაზე ვერცხლის მედალი ხვდა. აი, რეპში (წოლჭიმი გამეორებებით) კი ორი „ოქრო“ დაიმსახურა — საკუთარი წონის ტოლი შტანგა შვიდჯერ ასწია.



გაისად თებერვალში ამერიკა მსოფლიო პირად-გუნდურ ჩემპიონატს უმასპინძლებს. იმედია, მანამდე სახსრებიც გამოჩნდება და ჩვენი გუნდი ოკეანის გაღმა სრული შემადგენლობით გაემგზავრება.

**ინტერნეტიდან**



## ტერორისტებმა მთელი გუნდი გაწყვიტეს

**ვენესუელის პოლიციამ ტაჩირის დასავლეთ დეპარტამენტის ტერიტორიაზე აღმოაჩინა ცეცხლსასროლი იარაღით მრავალგზის განგმირული ათი ადამიანის გვამი, ეს იყო კოლუმბიის საზღვართან ახლოს. როგორც ბი-ბი-სი იტყობინება, ყველა მოკლული იყო კოლუმბიური ფეხბურთის გუნდის „ლოს მანისეროსის“ (მას კიდევ „მინატმენს“ ეძახოდნენ, ვინაიდან გუნდის მოთამაშეები არაქისს ჰყიდდნენ ვენესუელის საზღვართან) ფეხბურთელი.**

მომხდარზე პასუხისმგებლობა პოლიციამ საბრძოლო რაზმს ELN დააკისრა, ის კი კანონგარეშედაა გამოცხადებული. სამართალდამცავთა ცნობით, ეს დაადასტურა, ერთ-ერთმა სიკვდილსგადარჩენილმა ადამიანმა.

მოთამაშეები, რომელთა შორის იყვნენ 10 კოლუმბიელი, ვენესუელისა და პერუს მცხოვრებნიც, ერთი კვირის წინათ მოიტაცეს, პარასკევს კი ტერორისტებმა განაცხადეს, რომ ანთავისუფლებდნენ მათ, თუმცა დაპირება არ შეასრულეს — მოტაცებულები თითო-თითოდ გაჰყავდათ და ხვრეტდნენ. პოლიცია აწარმოებს გამოძიებას.

## სრული ნდობის საფუძველზე

**ჩვენი პლანეტის უძვირესი ფეხბურთელი კრიშტიანუ რონალდუ ტრავმის გამო იძულებითი შვებულებისას დროს უქმად არ კარგავს და ვინაიდან მინდორზე გაუსვლელად სპორტული გამოცემების მოწინავეებში ვერ მოხვდება, მადრიდის „რეალის“ მოთამაშემ ელიტური ქრონიკის ფურცლებზე გადაინაცვლა.**

თუმცა ცოტა ხნის წინათ იდეალურად მიაჩნდათ ფეხბურთის ვარსკვლავის ურთიერთობა მოდელ რაფაელო ფიცესთან, მაგრამ, როგორც გამოირკვა, ამ დამოკიდებულების წლისთავზე ღრუბლები მომრავლდნენ და კრიშტიანუმ რაფაელოსთან კავშირი გაწყვიტა.



პორტუგალიური პრესას თუ დავიჯერებთ, რონალდუმ ახალი სატრფო გაიჩინა — 25 წლის მსახიობი და მოდელი მარისა გომეს-სანდოვალი.

ქალიშვილი ბუდაპეშტში ცხოვრობს, ამიტომაც ხშირად უხდება ესპანეთის დედაქალაქში გადაფრენა შეყვარებულთან შესახვედრად. როგორც ერთ-ერთ ინტერვიუში მარისამ განაცხადა, მათი ურთიერთობა სრულ ნდობაზეა აგებული. მაგრამ ვინც კრიშტიანუს წინა სასიყვარულო თავგადასავლები იცის, ძნელად თუ დაიჯერებს ამას.

მონატრება

# გიწვევთ რაულ ჩილაჩავა



დღევანდელ დღესავით მახსოვს: ჩემი ერთადერთი შემოქმედებითი საღამო თბილისში გაიმართა 1981 წლის 27 მაისს ხელოვნების მუშაკთა სახლში მაშინდელ ჯაფარიძის ქუჩაზე. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა — გავიდა ასწლეული, ათასწლეული, დაინგრა საბჭოთა კავშირი, აღმოცენდა დამოუკიდებელი საქართველო. თავისუფლებით გამოწვეულ ეიფორიას თან მოჰყვა ინტერვენცია, ძმათაკვლა, ნგრევა. შინ მომავალი გზა, რომელსაც ოცი წელიწადი იმედის თვალით გავყურებდი, ჩემთვის კიდევ ოცი წლით დაიკეტა. ამ ხნის მანძილზე საზღვარგარეთ გამოვეცი რამდენიმე ათეული წიგნი, რომელთა შესახებ ქართველმა მკითხველმა თითქმის არაფერი იცის. ამიტომაც გადავწყვიტე ხანგრძლივი პაუზის შემდეგ მეგობრებისა და კოლეგების ხელშეწყობით თბილისში გამემართა კიდევ ერთი **შემოქმედებითი საღამო, რომელიც შედგება სამების ტაძარში ოთხშაბათს, 28 ოქტომბერს 17 საათზე.** გულითადად ვეპატიჟები ყველას, ვისაც ვახსოვარ, ვინც პირადად მიცნობს და ვინც ჩემი სახელი და გვარი ამჟამად პირველად გაიგო, ვისაც აინტერესებს არა მარტო ქართულ-უკრაინული, არამედ ქართულ-უკრაინულ-ლატვიური ურთიერთობანიც, რადგან უცნაური ბედის წყალობით მეოთხე წელიწადია, რაც უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ვარ ლატვიაში.

მოხარული ვიქნები თუ საღამოს დაესწრებიან მასმედიის წარმომადგენლები ანუ ჩემი უშუალო კოლეგები, მე ხომ თავის დროზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე.

კეთილი იყოს ჩვენი შეხვედრა.

უღრმესი პატივისცემით

თქვენი **რაულ ჩილაჩავა**

## რედაქციისგან:

***რაულ ჩილაჩავა** დაიბადა 1948 წლის 15 მაისს ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყარში. იზრდებოდა იმავე რაიონის სოფელ ძველ აბასთუმანში, სადაც 1965 წელს ოქროს მედალზე დაამთავრა საშუალო სკოლა. 1965-1970 წლებში იყო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტი. 1967 წელს მიავლინეს კიევის ტარას შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში უკრაინული ენისა და ლიტერატურის შესასწავლად. 1970 წელს წარჩინებით დაამთავრა უნივერსიტეტიცა და სტაჟირებაც. მას შემდეგ ცხოვრობს და მოღვაწეობს კიევში. მუშაობდა პრესაში, ათ წელიწადზე მეტ ხანს იყო უკრაინის ეროვნებებისა და მიგრაციის საქმეთა მინისტრის მოადგილე, პარალელურად უკრაინის დედაქალაქის რამდენიმე წამყვან უნივერსიტეტში ეწეოდა პედაგოგიურ სამეცნიერო საქმიანობას.*

*რაულ ჩილაჩავა არის უკრაინისა და საქართველოს მწერალთა კავშირების წევრი, პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ლატვიის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო დოქტორი, უკრაინის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, გალაკტიონ ტაბიძის, მაქსიმ რილსკის, ვლადიმერ ვინიჩენკოს, ალექსანდრე ჩაკისა და საქართველოს კომკავშირის პრემიების ლაურეატი, ფრანც კაფკას სახელობის საერთაშორისო ოქროს მედლის მფლობელი, დაჯილდოებულია საქართველოს „ღირსების ორდენით“, უკრაინის ორდენით „დამსახურებისათვის“, ლატვიის „სამი ვარსკვლავის“ ორდენით, უკრაინის მართლმადიდებლური ეკლესიის წმინდა მემატიანე ნესტორის ორდენით, წმინდა სტანისლავის სახელობის საერთაშორისო ორდენით „კომანდორის ჯვარი“ და „ოფიცრის ჯვარი “, სხვა სახელმწიფო და საერთაშორისო ჯილდოებით. გამოცემული აქვს 90-ზე მეტი საკუთარი და ნათარგმნი წიგნი. 2005 წლის 9 ოქტომბრიდან რაულ ჩილაჩავა უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩია ლატვიაში.*

**განცხადება**

2009 წლის 22 სექტემბერს შპს „იმედის“ დამფუძნებელ პარტნიორთა კრების გადაწყვეტილებით მიმდინარეობს შპს „იმედის“ (სკ 216404451ძ ლიკვიდაციის პროცესი. დაინტერესებულ პირებს გთხოვთ, მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: **ქ. რუსთავი, სამგორის ქ. №5. ტელეფონი: 8(24ძ15-81-22.**

ადმინისტრაცია

ენძელა, დარეჯან, დალი, პეტრე ბერაიები ოჯახებით თანაუგრძნობენ მამუკა ბაბილუას დედის

ლიანა ბაბილუას

გარდაცვალების გამო.

---

დალი ბერულავა, თეა ვახანია, გიორგი ბერულავა, გიორგი ჩიქავა დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, აკადემიკოსი

შოთა გოგოხია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

ზიზი, გივი ანთელავები, ვახტანგ ბერულავა, ნაზი ჯიქია, მიმოზა მიქავა, იოსებ, ლეო ჩიქავები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი

შოთა გოგოხია

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ვაი, საქართველოვ ჩემო!

# როდემდე – ერის განადგურება?

**ამ ორიოდე კვირის წინათ რუსთავში, მეგობრობის გამზირის №10 სახლში, საშინელი ტრაგედია დატრიალდა. 26 წლის ჭაბუკმა, რომელიც მარტო ცხოვრობდა, თავი ჩამოიხრჩო. ამ აბავმა შეძრა სამეზობლო, არადა, ბიჭს არც ისე უჭირდა, მშრომელი იყო, ხელოსანი. მეზობლებს ბინებს უსასყიდლოდ ურემონტებდა. ბიჭის დედა და და საზღვარგარეთ იმყოფებიან. მამა, ცოლს გაცილებული, კახეთში ცხოვრობს, თურმე შეძლებულადაც.**

მიზეზი, როგორც გაირკვა, ტოტალიზატორი იყო. არავინ უწყის როგორ, მაგრამ თითქოს ამ უწყინარ თამაშს შეეჩვია. მერე ეტყობა დიდი ფული წააგო, ვერც მშობლებს გაუმხილა, არადა, მამა თავს იკლავდა, ეთქვა და ფულს როგორ დავუკავებდიო.

ეს ერთადერთი შემთხვევა არ არის. სტატისტიკა მოწმობს, რომ მსგავსი ფაქტები გახშირდა მთელი საქართველოს მასშტაბით. ამას წინათ ერთმა ჩემმა ახლობელმა ქალბატონმა, სამი შვილის დედამ დამირეკა, გუშინ საღამოს ფალიაშვილის ქუჩის ხეივანში ასე 16-18 წლის ბიჭებმა ლამის ერთმანეთი დახოცეს. იგინებოდნენ, უშვერი სიტყვებით აყრუებდნენ იქაურობას, ახლოს სკამებზე კი მშვიდად ისხდნენ მამაკაცები და ვითომც არაფერიო. ბოლოს ვერ მოვითმინე, მივვარდი ერთ-ერთ მოჩხუბარს, რომელიც მასზე ჯანიან ბიჭებზე იწევდა, ლამის მოკვლითაც ემუქრებოდა. ძლივს დავაშოშმინე. ჩემგან დედობრივი მოფერება რომ იგრძნო, ბიჭმა კინაღამ იტირა. დეიდა, ჩვენ ხომ შორებლები არ ვართ, ის ჩემი ბიძაშვილიაო. მერედა, ბიძაშვილი უნდა მოკლა-მეთქი?

— რა ვქნა, რა მოვუხერხო, ტოტალიზატორში თამაშობს, სახლიდან ფულს იპარავს, ოქროულობა და ნივთებიც გააქვს და ყიდის. დედა ჰყავს მარტო და ის ვერაფერს უხერხებს, არადა, ასე ხომ დაიღუპებიან?!

ქალბატონმა შემომჩივლა, ბიჭის სიტყვებმა გული მომიკლა, მაგრამ სანუგეშო ვერაფერი ვუთხარიო.

ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფოებმა სომხეთმა და აზერბაიჯანმა ტოტალიზატორები აკრძალეს. ჩვენ კი ისედაც გენოციდის წინაშე მყოფთ, დასაკარგი შვილები სად გვყავს? გულდამდულებული ქალბატონი ვერც მე ვანუგეშე, არადა, რამდენი მაგალითი ვიცი, რამდენი ჩემი ნაცნობი ოჯახი გააუბედურა ამ ტოტალიზატორებმა... რომ ჩამოვთვალოთ, ერთი გაზეთიც არ ეყოფა.

კი ავუსრულე ნაცნობ ქალბატონს თხოვნა, გულისტკივილით დავწერე გაზეთში მაგრამ რა? სხვა ამაზე დიდი უბედურებაც გვჭირს — ქვეყანა ნადგურდება, ახალგაზრდობას პერსპექტივა არ აქვს. მოზარდები ჯგროდ დაეხეტებიან ეზოებში, ქუჩებში, ბაღებში, ეძებენ გასართობ საშუალებას. შანსი, რომ დასაქმდნენ, ამ ასაკის ბიჭებს კი არა, გამოცდილ, მოწიფულ ადამიანებსაც არ აქვთ!

...ერთი მუგუზალი კიდევ ერთხელ შევუჩიჩხინე ზღვას. პოზიცია თუ ოპოზიცია, ხელისუფლება თუ საზოგადოება არის კი წამკითხველ-გამკითხავი?!

მეტი არ იყოს ჩემი მტერი...

**გივი ჯახუა**

**P. S. აშშ-ს საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევის — „რას ფიქრობს ხალხი“ — თანახმად, რომელიც თავადვე ხელისუფლებამ დაასპონსორა, სააკაშვილს მაღალი რეიტინგი აღმოაჩნდა!**

**თურმე 1500 კაცი გამოუკითხავთ. ბატონი პრეზიდენტი ალბათ უბედნიერესი იქნება თუ საქართველოში ის 1500 ქართველი დარჩება მხოლოდ. მართალია, ამ რაოდენობიდან 26 პროცენტი მისი წინააღმდეგი ყოფილა, მაგრამ ეს არაფერი, მას პიარით დაამუნათებს, თუ არადა გადაუვლის...**

**ეს იმისთვის პრობლემა არ იქნება.**

**გ. ჯ.**

ხსოვნა

# შოთა გოგოხია

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შედეგად, 89 წლისა, გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი შოთა დორიმედონის ძე გოგოხია.



შოთა გოგოხია დაიბადა 1920 წლის 26 სექტემბერს წალენჯიხის რაიონის სოფელ ფახულანში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, 1937 წელს, ჩაირიცხა ქ. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1942 წელს.

1942-1947 წლებში მუშაობდა აფხაზეთის ასსრ გალის რაიონის სოფელ ოქუმში, სადაც განაგებდა უბნის საავადმყოფოს.

1947-1950 წლებში ეკავა საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიისა და ფიზიოთერაპიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის უმცროსი მეცნიერი თანამშრომლის თანამდებობა.

1950-1973 წლებში იყო აფხაზეთის ჯანმრთელობის მინისტრი. ეს პერიოდი ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში ხასიათდება განსაკუთრებული აღმშენებლობით, აფხაზეთში საბოლოოდ დამარცხდა მალარია და ეს მხარე იქცა ერთ-ერთ მძლავრ გამაჯანსაღებელ კერად. ბატონი შოთა დიდ ყურადღებას აქცევდა ეროვნული კადრების აღზრდის საქმეს. მისი მინისტრობის დროს აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის სისტემა გაიზარდა კვალიფიციური ექიმებისა და მედპერსონალთა რიცხვით, აშენდა მრავალი სამკურნალო ობიექტი.

1973-1974 წლებში შოთა გოგოხია მუშაობდა აფხაზეთის ჯანმრთელობის სამინისტროს უწყებებში სხვადასხვა თანამდებობებზე და ეწეოდა მეცნიერულ მოღვაწეობას.

შ. გოგოხია არჩეული იყო ლოს-ანჟელესის (აშშძ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად და ნატურალური მედიცინის საერთაშორისო ასოციაციის საპატიო წევრად.

2004 წელს არჩეულ იქნა აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტად.

ნაყოფიერი სამეცნიერო-შემოქმედებითი და უანგარო სამსახურისთვის დაჯილდოებული იყო ორდენებითა და მედლებით.

როგორც აფხაზეთიდან თითოეული დევნილისთვის, ბატონი შოთასთვისაც მძიმე იყო მშობლიურ კუთხესთან განშორება, რომელიც ოჯახთან ერთად დაატოვებინეს, მაგრამ ვაჟკაცური შემართების მეცნიერი და მამულიშვილი ვერ გატეხა ვერავითარმა გაჭირვებამ. ის ახალგაზრდული ენერგიით ბოლომდე ემსახურა მშობელ ხალხს.

სამუდამოდ წავიდა ჩვენგან ცნობილი მეცნიერი და ხალხისათვის თავდადებული საამაყო მამულიშვილი, საზოგადო მოღვაწე, ჭეშმარიტი ქართველი კაცი, ქვეყანამ დაკარგა ღირსეული მოქალაქე, ოჯახმა — მზრუნველი, საამაყო მშობელი.

ბატონი შოთას ნათელი ხსოვნა მარად დარჩება მისი მეგობრების, ახლობლებისა და აფხაზეთის საზოგადოებრიობის გულებში.

გიორგი ბარამია, ელგუჯა გვაზავა, ჯონი აფაქიძე, ჯემალ გამახარია, მამუკა თორია, ზურაბ ლომთათიძე, ლორიკ მარშანია, ოთარ ჟორდანია, გივი როგავა, სერგი საჯაია, ნუგზარ ფიფია, დავით ჩიტაია, ავთანდილ ხაზალია, დალი ხომერიკი, დალილა ხორავა, თამაზ ხუბუა, ჯემალ ჯინჯიხაძე, აკაკი გასვიანი, როლანდ კოპალიანი.

აფხაზეთის მთავრობა, აფხაზეთის უმაღლესი საბჭო და აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ მძიმე ავადმყოფობის შედეგად, 89 წლისა, გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტი

შოთა დორიმედონის ძე გოგოხია

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიების განყოფილება ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

ნათელა ოკუჯავა

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

გულნაზ და ნოდარ ემუხვარები თანაუგრძნობენ გოგი ლოთუაშვილს

დედის

გარდაცვალების გამო.

---

ს.ს. ჰემატოლოგიისა და ტრანსფუზიოლოგიის ს/კ ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ ინსტიტუტის ექიმ-ჰემატოლოგს თამარ მაკალათიას გარდაეცვალა

დედა

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

## გალა-კონცერტი

# ვანო სარაჯიშვილი - 130



28 ოქტომბერს 19 საათზე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართება დიდი ქართველი მომღერლის ვანო სარაჯიშვილის 130 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გალა-კონცერტი.

კონცერტში მონაწილეობენ თეატრის გუნდი, ორკესტრი, სოლისტები. კონცერტს წარუძღვებიან დირიჟორი ზაზა აზმაიფარაშვილი და გოგი ჭიჭინაძე, საღამოს რეჟისორია მაია გაჩეჩილაძე.

## დღის კალენდარი

27 ოქტომბერი

**21-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. სამშაბათი.**

**წმიდა ნაზარისა, გერვასისა, პროტასისა, კელასისა (I); მოწამე სილოვანესი, ღაზელ ხუცისა (IV); ღირსი პარასკევა სერბიელისა (XI).**

### დაიბადნენ:

**1466 — ერაზმ როტერდამელი,** ნიდერლანდელი ჰუმანისტი, თეოლოგი, ფილოსოფოსი, მწერალი. გარდაიცვალა 1536 წელს.

**1728 — ჯეიმს კუკი,** ინგლისელი ზღვაოსანი. გარდაიცვალა 1779 წელს.

**1782 — ნიკოლო პაგანინი,** იტალიელი მევიოლინე და კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1840 წელს.

**1840 — იაკობ გოგებაშვილი,** პედაგოგი, მეცნიერული პედაგოგიკის ფუძემდებელი საქართველოში, პუბლიცისტი და საბავშვო მწერალი. გარდაიცვალა 1912 წელს.

**1855 — ივან მიჩურინი,** ცნობილი რუსი სელექციონერი. გარდაიცვალა 1935 წელს.

**1858 — თეოდორ რუზველტი,** აშშ-ს პრეზიდენტი. გარდაიცვალა 1919 წელს.

**1888 — სერგი დანელია,** ფილოსოფოსი. გარდაიცვალა 1963 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1505 — ივან III,** რუსეთის მეფე.

### მოვლენები:

**1492 წელი** — ქრისტოფერ კოლუმბმა აღმოაჩინა კუბა.

**1958 წელი** — ბორის პასტერნაკი გარიცხეს საბჭოთა კავშირის მწერალთა კავშირიდან.

**1991 წელი** — ჯოხარ დუდაევი იჩქერიის რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩიეს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**თურქმენეთი** — დამოუკიდებლობის დღე.

**მედიანიუსი**

## ჩვენ გვწერენ

### სული სხეულს ტოვებს?

**ამბობენ, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში დააფიქსირეს სხეულიდან სულის გამოყოფის მომენტი ადამიანის სიკვდილის დროს.**

**ჩვენი კომენტარი:** შვიდი მომაკვდავი პაციენტის ტვინის ენცეფალოგრამის გადაღების დროს მედიკოსებმა აღმოაჩინეს ელექტრული იმპულსების ძლიერი თქაფუნი, რაც ამ ადამიანებს არ ჰქონიათ სიკვდილის მოახლოებამდე.

„ასეთ ეფექტებს ჩვენ ვაფასებთ, როგორც სიცოცხლისთვის მებრძოლი ორგანიზმის აქტიურობის კონცენტრაციას, — განაცხადა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა თამარ ესებუამ. — შეიძლება, ხდება ტვინის იმ კანქვეშა სტრუქტურების გააქტიურება, რომლებიც მართავენ სუნთქვას, გულის საქმიანობას, სხეულის ტემპერატურის შენარჩუნებას. იმისთვის კი, რომ ვილაპარაკო სულის სხეულიდან გამოყოფის შესახებ, მე, რომელსაც მრავალგზის მიდევნებია თვალყური ტვინის სიკვდილისწინა მუშაობის აქტიურობაზე, არავითარი საბუთი არ გამაჩნია“.

### რას აკეთებენ ქურდები ტაძარში?



**ვნახე იაპონჩიკის დაკრძალვის კინოსურათი და გავოცდი. ყველა დამსწრე (როგორც მესმის, მათი უმრავლესობა კრიმინალური სამყაროდანაა) გულწრფელად იწერდა პირჯვარს. დაკრძალვას წინ უსწრებდა დატირება სამლოცველოში. არ მესმის, რატომ არიან დამნაშავეები ასეთი რელიგიურები? როგორ შეიძლება, ცალი ხელით პირჯვარს იწერდე, მეორეთი — კლავდე კაცს?**

**ს. პეტრიაშვილი, სიღნაღი**

რელიგიაზე ერთგვარი მოდა კრიმინალებს შორის მართლაც არის. მაგალითად, დანაშაულის სამყაროში ძალიან პოპულარულია ლუკას სახარებაში მოყვანილი ერთი ამბავი (თ.23). იესო ქრისტესთან ერთად ჯვარს აცვეს ორი ყაჩაღი. ერთმა მათგანმა ითხოვა: „იესო, გამიხსენე, როცა შენს სასუფეველში მოხვალ“. ქრისტემ ცოდვილის თხოვნაზე უპასუხა: „ჭეშმარიტად გეუბნები შენ: დღესვე ჩემთან ერთად იქნები სამოთხეში“. ამიტომაა, რომ ბევრ დამნაშავეს აქვს იმედი — მოხვდეს სამოთხეში.

და როგორც ერთ-ერთმა მოძღვარმა გვითხრა, პატიმართა ერთი ნაწილი გათავისუფლების შემდეგ მართლაც უბრუნდება ნორმალურ ცხოვრებას ღვთისმსახურებთან ურთიერთობის წყალობით.

**აქვე გვინდა ვუპასუხოთ ერთ კითხვასაც:** ვინაა იაპონჩიკი?

ვიაჩესლავ ივანკოვს რუსეთის ბოლო პერიოდის ყველაზე გავლენიან კრიმინალად მიიჩნევდნენ. სამართალდამცავი ორგანოების ინფორმაციით, ის ერთ-ერთ კოლონიაში აკურთხეს 1974 წელს და აიყვანეს კანონიერი ქურდის რანგში. 1981 წელს მას 14 წელი მიუსაჯეს ბანდიტობისთვის, იარაღის ტარებისთვის და ყალბი დოკუმენტებისთვის. 1991 წელს გაათავისუფლეს ვადამდე, მათ შორის ცნობილი პიროვნებების — მეცნიერის, მომღერლის და ა.შ. — შუამდგომლობით. 1992 წელს წავიდა ამერიკაში. სხვადასხვა მონაცემებით იქ ვ.ივანკოვი სათავეში ედგა ეგრეთ წოდებულ რუსულ მაფიას, 1997 წელს კი მიუსაჯეს თითქმის 10 წელი ფიქტიური ქორწინებისა და ბიზნესმენებისგან — ა.ვოლკოვისა და ვ.ვოლოშინისაგან 3,5 მილიონი დოლარის გამოძალვის გამო. 2004 წელს დეპორტირებული იყო რუსეთში, როგორც მოსკოვში 2004 წელს ორი თურქი ბიზნესმენის მკვლელობის ფიგურანტი. 2005 წელს მოსკოვის ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ იგი უდანაშაულოდ მიიჩნია. ი.ივანკოვი (ანუ იაპონჩიკი) ევროპაში გაემგზავრა.

**ამინდი დღეს**

| | |
|---|---|
| **თბილისი.** | +12 — +23 |
| **ქუთაისი.** | +14 — +23 |
| **ბათუმი.** | +18 — +24 |
| **ზუგდიდი.** | +16 — +24 |
| **თელავი.** | +9 — +15 |

### ჩინეთი აღმა შეაბრუნებს მდინარეებს

**ამბობენ, რომ ჩინეთში 330 ათასი კაცი გადაასახლეს სხვა ადგილებში მდინარეებისთვის კალაპოტების შეცვლის გამო.**

**ჩვენი კომენტარი:** „ამ ხალხს ასახლებენ მჭიდროდ დასახლებული ცენტრალური პროვინციებიდან — იქ გავა არხები მდინარეებისა, რომლებსაც უცვლიან კალაპოტებს სამხრეთიდან ჩრდილოეთისკენ, — გვითხრა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორმა გივი გომელაურმა. — ჩინეთის სწორედ ჩრდილოეთს აწუხებს წყლის ნაკლებლობა. პროექტი დაჯდება 60 მილიარდ დოლარამდე და ეჭვიც არ მეპარება, რომ ისინი ამას შეძლებენ. იქ ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია — საკმარისია გაიყვანო გვირაბი კლდეში და წყალი არხებით წავა ჩრდილოეთისკენ“.



## კადრი



**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.

„საქართველოს რესპუბლიკაში“

99-62-77; 899 32-85-76.

## ანეკდოტები

— თქვენ ნამუსი ახადეთ ჩემს ქალიშვილს. ამიტომ მასზე უნდა დაქორწინდეთ!

— იფ, მაშინ მე თქვენს მეუღლესაც ავხადე ნამუსი და რა გამოდის, მრავალცოლიანი უნდა გავხდე?

* * *

იაფად გავყიდი გენეტიკურ კოდს. მიტანა და დაყენება უფასოა.

* * *

სამწუხაროა, რომ ფულის გადასახადებში დაბანდება შეუძლებელია! ასპროცენტიანი ზრდა გარანტირებული იქნებოდა!

* * *

— მითხარით, — ეუბნება მოსამართლე დაზარალებულ მანდილოსანს, — ნუთუ სულ არ შეგეშინდათ, როდესაც განსასჯელმა ჩაბნელებულ ხეივანში გასეირნება შემოგთავაზათ?

— როგორ არ შემეშინდა! რა თქმა უნდა, შემეშინდა... მაგრამ თავში აზრადაც ვერ გავივლებდი, რომ იგი ჩანთას გამომგლეჯდა და გაიქცეოდა.



* * *

ყველაზე ძნელი მამაკაცის ცხოვრებაში ორი რამეა: კარგი საზამთროს და წესიერი ქალის შერჩევა.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ქობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.